ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## ინგლისში ლიდერთა ტურია


გვ.9

### სტატისტიკა, ფსონები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 06.02 | სიტი-ლესტერი | 1.57 | 4.0 | 6.0 |
| 06.02 | ბილბაო-ვილიარეალი | 1.8 | 3.5 | 4.5 |
| 06.02 | ლევერკუზენი-ბაიერნი | 5.0 | 4.0 1 | .65 |
| 06.02 | ჰერტა-დორტმუნდი | 6.5 | 4.2 | 1.5 |
| 06.02 | ბოლონია-ფიორენტინა | 3.5 | 3.1 | 2.2 |
| 07.02 | ჩელსი-მანჩესტერი | 2.1 | 3.1 | 3.8 |
| 07.02 | გრანადა-რეალი | 9.5 | 5.5 | 1.28 |
| 07.02 | ვერონა-ინტერი | 4.33 | 3.5 | 1.75 |
| 07.02 | ბორდო-სტ.ეტიენი | 2.45 | 3.0 | 3.1 |
| 07.02 | მარსელი-პსჟ | 5.0 | 3.6 | 1.73 |

შაბათი — კვირა, 6 — 7 თებერვალი, 2016

№30 (6956)

ფასი: 50 თეთრი

# „რესპუბლიკელები „ქართულ ოცნებას“ მორწმუნეებთან აპირისპირებენ“



## ლადო სადღობელაშვილი: „დავით ზურაბიშვილს აუცილებლად მოვთხოვთ პასუხს“

ჩვენ ყოველთვის კანონის ფარგლებში ვმოქმედებთ და ზურაბიშვილსაც კანონის შესაბამისად მოვთხოვთ პასუხს ყველა შეურაცხყოფაზე. რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფაზე რეაგირება აუცილებელია. ამისთვის სხვა რესპუბლიკელებსაც უნდა მოეთხოვოთ პასუხი.


გვ.3

## ინგა გრიგოლია: „მაესტროს ამბებში კვირიკაშვილი ცუდად გახვიეს“

მაესტრო

გვ.2



„რეაქცია ირაკლი რუხაძემ დამიხურა“

## ტელეკომპანია მაესტრო მაუწყებლობას სხვა სიხშირეზე დაიწყებს


გვ.2

## ვახტანგ ძაბირაძე: „არაფერია უცნაური, რომ პრეზიდენტი მეორე ვადაზე ფიქრობდეს“


გვ.4



ISSN 1987-9385

## თამარ ჩხეიძე: „პოლიტიკაში არსებული რეალობა გარდაბნის არჩევნებზე გამოჩნდა“

გვ.5



ნონა ცაბაძე

# ინგა გრიგოლია: „მაესტროს ამბებში კვირიკაშვილი ცუდად გახვიეს“

დავა ტელეკომპანია მაესტროსთან დაკავშირებით კვლავაც გრძელდება. მაესტროზე მიმდინარე პროცესებს ჟურნალისტი ინგა გრიგოლია ეხმიანება და „ახალი თაობის" შეკითხვებს პასუხობს.

***— ინგა, რა ხდება დღეს მაესტროზე, როგორია თქვენი თვალით დანახული ვითარება?***

— დღეს მაესტროზე იმედიზაციის პროცესი მიდის.

***— რას გულისხმობთ?***

— ირაკლი რუხაძე რომ არ ეხსენებინათ ძმებ გაჩეჩილაძეებს, მე თვითონაც ჩავთვლიდი, რომ ეს იყო დამფუძნებლებს შორის არსებული კონფლიქტი წილების თემაზე და ამის მოგვარების მცდელობა, მაგრამ ისეთი ფული დაასახელეს გაჩეჩილაძეებმა, რომელმაც მე კითხვები კი არ გამიჩინა, პირდაპირ დავასკვენი, რაც ხდება.

***— და რა ხდება?***

— თავიდანვე იმედმა რომ იყიდა 5 მილიონით მაესტროს სარეკლამო დრო, უკვე ცხადი იყო ეს გავლენები, მაგრამ დღეს, როცა ღიად გამოდის გია გაჩეჩილაძე და ამბობს, რომ ირაკლი რუხაძემ ასესხა ფული, ეს არ მესმის. ფულს საქართველოში არავინ გასესხებს, თან მილიონებს! არავინ ჩადებს მილიონებს ისე, უბრალოდ, მედიაში. პატარა ბავშვი ვინც არ არის, ყველა მიხვდება, რომ ეს არის იმედიზაციის პროცესი.

ჯერ იყიდეს სარეკლამო დრო რუხაძემ და იმედმა და ახლა უკვე მთავარი მეწილეებისთვის, ვინც ედავება გოგელიასა და ასათიანს, დიდი ფულიც გაიღეს. მე ძალიან მიყვარს და ვმეგობრობ გაჩეჩილაძეებთან, მაგრამ ირაკლი რუხაძე...



***— რას ერჩით ირაკლი რუხაძეს?***

— ირაკლი რუხაძე არის ერთ-ერთი ის ადამიანი, რომელიც იყო მთავარი გადაწყვეტილების მიმღები, როდესაც დახურეს რეაქცია. ირაკლი რუხაძეს მე პირადად ვიცნობ და არ დავიწყებ ბევრი სხვა რამის მოყოლას.

***— ვინ დგას მის უკან?***

— ის პატარკაციშვილების ქონების განმკარგავია. მე მას კარგად ვიცნობ და არ ვთვლი საჭიროდ, რომ ჩვენი შეხვედრის დეტალებზე პრესით ვილაპარაკო. მასთან ბევრი საქმიანი საუბარიც მქონია და ისიც ზუსტად ვიცი, რომ ამ კაცმა დახურა რეაქცია. აქედან გამომდინარე, საერთოდ კითხვის ნიშანი არ მაქვს, ჩაერევიან თუ არა ისინი მაესტროს დამოუკიდებლობაში. რა თქმა უნდა, ჩაერევიან!

***— რატომ ფიქრობთ ასე?***

— იმიტომ, რომ რეაქცია, რომელიც იყო ყველაზე ყურებადი პროდუქტი იმედზე და ამხელა რეიტინგის მქონე პოლიტიკური ტოკშოუ, ისე დახურეს, რომ საჭიროდაც კი არ ჩათვალეს ჩემთვის რაიმე ტიპის განმარტება. რალაცა ბოდვა მოვისმინე მერე, რომ თურმე ფორმატი უნდა შეეცვალათ და კი აქვთ ახლა შეცვლილი ფორმატის გადაცემა.

## „რეაქცია ირაკლი რუხაძემ დამიხურა“

აქედან გამომდინარე, მე ზუსტად ვიცი, რომ მაესტროში მოხდება ჩარევა, იმიტომ, რომ ეს არის ირაკლი რუხაძის ფული. ზოგადად არ მჩვევია და არც მიყვარს რესპონდენტების ქება-დიდება, მაგრამ მე მომწონს პრემიერ-მინისტრი კვირიკაშვილი...

***— სწორედ მასზე უნდა მეკითხა. ამბობენ, რომ ის ცუდად გასვარეს ამ საქმეში. რატომ, რა ხდება?***

— მართლა ძალიან დიდ პატივს ვცემ გიორგი კვირიკაშვილს. ის უაღრესად კარგი ტიპია, ჟურნალისტებთან კონტაქტური და ძალიან აზრიანი ადამიანია. დიდ პატივს ვცემ და გუშინ ჩემთვის იყო შოკი, როდესაც მოვისმინე, რომ ამ დღეებში, როდესაც მიდის მაესტროსთვის ომი, ერთ-ერთი მხარე მიდის მასთან, კანცელარიაში აქვს შეხვედრა და ფორმულირება არის ასეთი — ჩემი ძმაკაცია პრემიერი. პრემიერი ძალიან უხერხულ სიტუაციაში ჩააგდეს.

ახლა გიორგი კვირიკაშვილს მოუწევს განმარტების გაკეთება, რას ეხებოდა ეს შეხვედრა და ილაპარაკეს თუ არა მაესტროზე. ძალიან რთული დასაჯერებელია, რომ იქ მაესტროზე არ ყოფილიყო ლაპარაკი. კიდევ ერთი დეტალია აქ.

***— რომელ დეტალს გულისხმობ?***

— ბაია გადაბაძეც ითხოვს პრემიერთან შეხვედრას, მაგრამ არავინ შეხვედრია მას. მე არ ვიცი, გოგელია ვინ არის, რამდენად ეკუთვნის გოგელიას, გრეჩიხებს რამდენად ეკუთვნით, ერთი ის ვიცი, რომ მთელი ცხოვრება მამუკა ღლონტთან იყო ეს მაესტრო დაკავშირებული. მეტი შიდა ამბები მართლა არაფერი ვიცი, მაგრამ ირაკლი რუხაძის იქ გამოჩენამ ძალიან ბევრი კითხვის ნიშანი გამიჩინა.

***— საუბრობენ იმაზეც, რომ კითხვის ნიშნებს აჩენს ძმები გაჩეჩილაძეების წინა პლანზე წამოწევა არჩევნების წინ. ასეა?***

— ეს ყველაფერი უკვე არის ინსინუაციები და ჩვენ შეგვიძლია, ვერსიებზე ვილაპარაკოთ.

***— ეს არ არის მხოლოდ მეწილეებს შორის ბრძოლა?***

— არა, არ მგონია. შესაძლოა, ერთი მხრივ, ეს იყოს მეწილეებს შორის ბრძოლა და ეს შესანიშნავად გამოიყენეს პოლიტიკური ამბებისთვის. მე ძალიან მწყდება გული, რომ შეეცადნენ, რომ პრემიერი გაეხვიათ ამ ამბებში. ის უხერხულ მდგომარეობაშია და მართლა ველოდები, რომ გიორგი კვირიკაშვილი განმარტებას გააკეთებს.

***— დასრულდა მაესტროს თავისუფლება?***

— ჯერ არ დასრულებულა. როგორც ვიცი, შენობა მაკასია, აპარატურა მაკასია, საერთოდ როგორ უნდა შევიდნენ და როგორ უნდა იმაუწყებლონ. ამ წუთისთვის რეესტრში არ არის დარეგისტრირებული ლევან გაჩეჩილაძე, აქედან გამომდინარე, არ ვიცი, თუმცა ერთი ვიცი, ირაკლი რუხაძის გამყარებული ფულით, რა წამსაც შეიცვლებიან იქ მაკონტროლებლები, იმ წამს დასრულდება მაესტროს თავისუფლება.

ამას ვლაპარაკობ საკუთარი გამოცდილებიდან. მე როდესაც რეაქცია დამიხურეს, მაშინვე ვთქვი, არსებობს თემები, რომელთაც ბოლომდე მივყვები-მეთქი. მაესტროში ირაკლი რუხაძის გამოჩენა არის იგივე მედიის გაკონტროლების ამბავი, რასაც შეეწირა რეაქცია. ვაჭრობისა და გაკონტროლების ამბავი.



***— ვისთან ან რაზე ვაჭრობის?***

— ვაჭრობის ჩვენი გადაცემებით, ჩვენი რეიტინგით, ჩვენი თავისუფლებით.

***— რამდენად არის რუხაძე დაკავშირებული სახელისუფლებო წრეებთან? მაღალ ეშელონებთან?***

— ცხადია, რომ ვაჭრობს და ვისთან ვაჭრობს? იმასთან, ვინც ყველაზე გავლენიანია. ვისაც აქვს შენს ბიზნესებზე გადაწყვეტილების მიღების უფლება. გაარკვიონ, საბოლოოდ რა ბიზნესები გადავიდა მათ ხელში და რას შეეწირა რეაქცია. რა თქმა უნდა, ვაჭრობა ყოველთვის მიდის ხელისუფლებასთან. აბა, ჩემთან ხომ ვერ ივაჭრებენ?!

# ტელეკომპანია მაესტრო მაუწყებლობას სხვა სიხშირეზე დაიწყებს



მაესტროს გარშემო ვნებათაღელვა არ ცხრება. ცნობილი გახდა, რომ ტელეკომპანია მაესტრო მაუწყებლობას სხვა სიხშირეზე დაიწყებს.

საცდელი მაუწყებლობა უკვე დაიწყო „ტვ 11“-ის სიხშირეზე და ამ დროისთვის ეთერში რადიო მაესტრო გადის. ამ გადაწყვეტილების ინიციატორები მამუკა ღლონტი და ბაჩო კიკაბიძე არიან. ტელეკომპანია მაესტრო შესაძლოა, მაესტრო 24-ის სახელწოდებით გავიდეს ეთერში.

როგორც ჟურნალისტებს არხის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, ბაჩო კიკაბიძემ განუცხადა, უკვე მიმდინარეობს მოლაპარაკებები და მაესტრო 24 „ტვ11“-ის სიხშირეზე დაიწყებს მაუწყებლობას.

— ყველაფერს გავაკეთებთ, რომ საარჩევნოდ მაესტრო ყველა ოჯახში იყოს ჩართული, — განაცხადა კიკაბიძემ. ვინ გააგრძელებს მუშაობას მაესტრო 24-ში, კიკაბიძეს არ დაუკონკრეტებია

* * *

ამასობაში კი ტელეკომპანია მაესტროში დაცვა გააძლიერეს, რაც ძმებ გაჩეჩილაძეებს უკავშირდება.

მოქმედი დირექტორი ბაია გადაბაძე ამბობს, რომ ძმები, ლევან და გია გაჩეჩილაძეები, შენობაში ვერ შევლენ.

გადაბაძე ამბობს, რომ შენობა ტელეკომპანიის სხვა დამფუძნებელს, მაკა ასათიანს, ეკუთვნის.

— თუ სტუმრად მოვა გადაცემაში ან ჩემთან სალაპარაკოდ, ბუნებრივია, მას შემოუშვებენ, მაგრამ თუ ის შემოვა შენობაში ტელევიზიის სამართავად, შენობა მას არ ეკუთვნის და ეს იქნება უკანონო. იმედი მაქვს, რომ ამაზე ლევანი არ წავა, — განაცხადა გადაბაძემ.

* * *

ტელეკომპანია მაესტროს ირგვლივ განვითარებულ მოვლენებზე პოლიტიკური განცხადებები კეთდება.

საპარლამენტო უმრავლესობა პოლიტიკურ დაინტერესებას კატეგორიულად გამორიცხავს.

— ხელისუფლება დაინტერესებულია, რომ ამ ქვეყანაში იყოს მედია პლურალიზმი, ჟურნალისტებს, მედია საშუალებებს ჰქონდეთ საქმიანობის თავისუფლება და არ დაირღვეს მათი უფლებები, — აღნიშნა მანანა კობახიძემ.

საპირისპირო მოსაზრებები აქვთ ოპოზიციაში. ისინი მიმდინარე პროცესებს საარჩევნო წელს უკავშირებენ.

ოპოზიციის შეფასებით, უმრავლესობას სურს მისთვის სასურველი საინფორმაციო ველი შექმნას.

— ის, რაც დღეს მაესტროში ხდება, მე მგონი, ყველასთვის გასაგებია, რომ ეს დაკავშირებულია მოახლოებულ არჩევნებთან. წინასაარჩევნოდ ზოგი ფინანსური რესურსების, ზოგი კი პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, ცდილობს ხელში ჩაიგდო მედიასაშუალებები. ამიტომ, რა თქმა უნდა, პოლიტიკა და მაესტრო დღეს განუყოფელია, — აცხადებს ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელი გიორგი ვაშაძე.

ოპოზიციის დეპუტატების არგუმენტებს იზიარებს თავისუფალი დემოკრატების ლიდერიც.

— საარჩევნო წელს რომ ასეთი ცვლილებები იგეგმება და ხორციელდება, ბუნებრივია, ეჭვს აღძრავს, რომ ეს შესაძლოა უკავშირდებოდეს სარედაქციო თავისუფლების შეზღუდვას. ის გამოცდილება, რაც ჩვენ გვაქვს რუსთავი 2-თან დაკავშირებით, ძალიან დიდ ეჭვებს ბადებს საზოგადოებაში, — აღნიშნა ირაკლი ალასანიამ.

# ირაკლი კირკიტაძე: „ჩემი დაკავება მიზნად ისახავდა ჩემი ძმის დაშანტაჟებას და დაშინებას“



ქვემო ქართლის ყოფილმა გუბერნატორის, დავით კირკიტაძის ძმა, რომელიც გუშინ თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით 5.000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს, მის დაკავებას ძმის პოლიტიკურ საქმიანობას უკავშირებს.

კერძოდ, როგორც ირაკლი კირკიტაძემ თბილისის საქალაქო სასამართლოში ჟურნალისტებს განუცხადა, მისი დაკავება მიზნად ისახავდა დავით კირკიტაძის დაშანტაჟებას და დაშინებას.

— დასრულდა ჩემი ერთთვიანი მძევლობა. ჩემი დაკავება ეს იყო ბინძური პროვოკაცია, რომელიც დაგეგმეს და განახორციელეს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა. ჩემი დაკავება მიზნად ისახავდა ჩემი ოჯახის წევრის, კერძოდ, ჩემი ძმის დაშანტაჟებას და დაშინებას, — განაცხადა ირაკლი კირკიტაძემ.

თავის მხრივ, ბრალდებულის ძმა, ქვემო ქართლის ყოფილი გუბერნატორი დავით კირკიტაძე ამბობს, რომ მისი ძმის დაკავების პერიოდი დაემთხვა გარდაბანში გამგებლის არჩევნების წინა პერიოდს, რომელშიც თავად აქტიურ მონაწილეობას იღებდა.

— ეს დაკავება იყო პოლიტიკურად მოტივირებული და მიზნად ისახავდა პირადად ჩემზე ზეწოლას, რადგან მოგეხსენებათ, იყო გარდაბნის არჩევნები, სადაც მე აქტიურად ვიღებდი მონაწილეობას და ვმუშაობდი შტაბში. თუმცა, ძალიან მნიშვნელოვანია, ეს იცოდეს ბიძინა ივანიშვილმაც, ვინც არ უნდა გამოიყენონ, მოქმედი პოლიციელები, ნიღბიანი ზონდერები, ვერ მიაღწევენ წარმატებას, — განაცხადა თბილისის საქალაქო სასამართლოში ქვემო ქართლის ყოფილმა გუბერნატორმა დავით კირკიტაძემ.

შეგახსენებთ, რომ მოსამართლე დავით კურტანიძემ ხულიგნობაში ბრალდებულ ირაკლი კირკიტაძეს აღკვეთის ღონისძიებად შეფარდებული წინასწარი პატიმრობა გირაოთი შეუცვალა.

ირაკლი კირკიტაძის წინააღმდეგ საქმე აღძრულია სამი მუხლით; ესაა სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლი, რაც ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანებას ითვალისწინებს, ასევე 151-ე მუხლით, რაც მუქარას გულისხმობს და 239-ე — ხულიგნობის მუხლით.

გამოძიების ინფორმაციით, ირაკლი კირკიტაძემ დიღმის მასივის მე-5 კვარტალში, უხეშად დაარღვია საზოგადოებრივი წესრიგი, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მოქალაქეს და თავის არეში ცეცხლსასროლი იარაღი ჩაარტყა, რითაც ჯანმრთელობა დაუზიანა.

მედიანიუსი

# საქართველოში ზიკას ვირუსის გადამტანი მწერი ორჯერ დაფიქსირდა

საქართველოში ზიკას ვირუსის გადამტანი მწერი ორი წლის წინ ბათუმში, გასულ წელს კი ზუგდიდში დაფიქსირდა.

ამის მიუხედავად, დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში აცხადებენ, რომ საქართველოში ზიკას ვირუსის გავრცელების ალბათობა დაბალია, თუმცა ცენტრის წარმომადგენელი პაატა იმნაძე მოქალაქეებს რეკომენდაციით მიმართავს და მოუწოდებს, სამხრეთ ამერიკაში გამგზავრებისგან თავი შეიკავონ.

მისივე თქმით, თუ საზღვარგარეთ გამგზავრება აუცილებელი გახდა, მოქალაქეებმა უნდა იხმარონ სპეციალური მალამო, რომელიც მათ მწერის მიკარებისგან დაიცავს.

— საქართველოც დედამიწაზეა და როგორც სხვა ქვეყნებში, შესაძლოა აქაც ერთი-ორი ადამიანი შემოვიდეს დავირუსებული, ეს რისკი არის, თუმცა ძალიან უმნიშვნელო. საქართველოში ზიკას ვირუსი არ დაფიქსირებულა. ერთადერთი რეკომენდაცია რაც გვაქვს ისა, რომ ნუ წავალთ სამოგზაუროდ სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში, განსაკუთრებით ბრაზილიაში, სადაც ეს ვირუსი მძვინვარებს, — განაცხადა პაატა იმნაძემ.

იმნაძის თქმითვე, საქართველოს მასშტაბით თვის ბოლოდან პრევენციული ღონისძიებები დაიწყება.

ნიუსპრესი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეველაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა ფვილიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოჩაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „რესპუბლიკელები „ქართულ ოცნებას“ მორწმუნეებთან აპირისპირებენ“

შორენა მარსაგიშვილი

**ვისი დავალებით მოქმედებენ რესპუბლიკელები, ვინ აპირებს რელიგიური გრძნობების შესახებ კანონპროექტის ჩაგდებას, რას ჰპირდება „თავისუფალი თაობა" საკრებულოს დავით ზურაბიშვილს? – ამის შესახებ „ახალ თაობას" „თავისუფალი თაობის" ლიდერი ლადო სადღობელაშვილი ესაუბრება.**




## ლადო სადღობელაშვილი: „დავით ზურაბიშვილს აუცილებლად მოვთხოვთ პასუხს“




**ლადო სადღობელაშვილი:**
– დავით ზურაბიშვილს აუცილებლად მოვთხოვთ პასუხს და მას აუცილებლად მოუწევს პასუხის გაცემა იმ გამონათქვამებზე, რომლითაც ის მორწმუნეების, ძირითადად კი მართლმადიდებლების რელიგიურ გრძნობებს შეურაცხყოფს.

***– პასუხის მოთხოვნაში რას გულისხმობთ, სასამართლოში უჩივლებთ?***

– ამ ეტაპზე სასამართლოში ჩივილს აზრი არა აქვს. ჩვენ, „თავისუფალი თაობა“, მას სხვანაირად მოვთხოვთ პასუხს. რამდენიმე დღის წინ მან სოციალურ ქსელში შეურაცხმყოფელი სტატუსი გამოაქვეყნა. საერთოდაც, ეს ადამიანი ხელიდან არ უშვებს შესაძლებლობას, რომ რელიგიასა და სასულიერო პირებს შეურაცხყოფა მიაყენოს.

მისიც კარგად მესმის და ვიცი, რომ ასეთი დავალება აქვს მიღებული და, თუ ყველაფერს კარგად შეასრულებს, შესაძლოა რესპუბლიკელებმა ის ივანიშვილს „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიაშიც ჩააწერინონ.

მისი ყველა განცხადება აღმაშფოთებელია, მაგრამ მღვდლებზე რაც დაწერა, ის მთლად ამაზრზენი იყო. მისი განცხადებით, დაუშვებელია თურმე, რომ მღვდლის გინება ფასიანი იყოს და სხვა პროფესიების უფასო, ან უცოდინარმა მკრეხელმა ისიც კი არ იცის, რომ მღვდელი პროფესია არ არის, ისევე, როგორც რაბინი ან მოლა.

***– თუ არ იცის, მიეტევება, არცოდნა არცოდვააო.***

– ამ შემთხვევაში ასე არ გამოვა, რადგანაც ზურაბიშვილმა ძალიან კარგად იცის, რომ მღვდელი პროფესია არ არის, მისი შეურაცხმყოფელი გამოხტომები უკვე ყელში ამოვიდა და მას აუცილებლად მოვთხოვთ პასუხს.

ამ განცხადებიდან რამდენიმე დღეში მან პრესკონფერენცია გამართა. იმ პრესკლუბის წარმომადგენლებს ვეცით პატივი, სადაც ღონისძიება შედგა, თორემ მივუვარდებოდით და თავზე დავამხობდით იქაურობას. ნაციონალების მიერ კონტროლირებად პრესკლუბში როცა მივა, იქ ნამდვილად მივაკითხავთ.

***– იქნებ დააკონკრეტოთ, რას ნიშნავს, მიაკითხავთ. ეს ზურაბიშვილმა შესაძლოა მუქარად მიიღოს.***

– უკანონოს არაფერს ჩავიდენთ. ჩვენ ყოველთვის კანონის ფარგლებში ვმოქმედებთ და ზურაბიშვილსაც კანონის შესაბამისად მოვთხოვთ პასუხს ყველა შეურაცხყოფაზე. რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფაზე რეაგირება აუცილებელია. ამისთვის სხვა რესპუბლიკელებსაც უნდა მოეთხოვოთ პასუხი.

***– კიდევ ვისთვის აპირებთ პასუხის მოთხოვნას?***

– რესპუბლიკელები თავიდან ბოლომდე ანტირელიგიურები არიან, მაგრამ ზურაბიშვილი, თამარ კორძაია და ლევან ბერძენიშვილი აშკარად გამოირჩევიან. მათი განცხადებები „ქართულ ოცნებას“ არჩევნებზე სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის.

***– რა პრობლემებს?***

– შესაძლოა ძალიან ბევრი ამომრჩეველი დაკარგონ. საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი და, შესაბამისად, ამომრჩეველიც მართლმადიდებელია. ესენი კი თავიანთი განცხადებებით მმართველ კოალიციას მორწმუნეებთან აპირისპირებენ.

დავით ზურაბიშვილი, რომელიც, სხვა რესპუბლიკელების მსგავსად, სამწუხაროდ, კოალიციაში შედის, გამუდმებით ლანძღავდა და აკრიტიკებდა ივანიშვილსა და ღარიბაშვილს, მთლიანად ხელისუფლებასაც ცუდად მოიხსენიებდა, თითქოს თავად არ იყო ამ გუნდის წევრი. ახლა უცბად გუნდურობის თამაში დაიწყო და კოალიციის სახელით განაცხადა, რომ კოალიცია კანონს რელიგიური გრძნობების შესახებ მხარს არ დაუჭერს.

***– ამას პარლამენტის დეპუტატებიც ამბობენ.***

– ყველა ასე არ ფიქრობს. ბევრი მათგანი კანონის კიდევ უფრო გამკაცრებას უჭერს მხარს. რესპუბლიკელები და მათნაირი არასამთავრობოები ცდილობენ, ისე დახატონ სურათი, რომ მხოლოდ მართლმადიდებლობის შეურაცხყოფა იქნება დასჯადი. ეს არის სიცრუე. კანონი ყველა რელიგიურ მიმდინარეობას შეეხება და ამას საქართველოში მცხოვრები ყველა რელიგიის წარმომადგენლები დაუჭერენ მხარს.

***– პარლამენტი თუ მიიღებს ამ კანონს?***

– დიდი სურვილი მაქვს, რომ მიიღონ, მაგრამ წინასწარ რამის თქმა ძნელია. ეს პარლამენტი ზებრასავით ჭრელია და, ვინ რას ფიქრობს, ვერ გაიგებ. მგონი, უკვე დროა. „ქართული ოცნება“ ასეთი ხალხისგან გათავისუფლდეს. პირველ რიგში რესპუბლიკელების გაშვება უნდა მოხდეს.

***– დათანხმდება ამას ივანიშვილი? დავით უსუფაშვილმა თქვა, არსად წასვლას არ ვაპირებო.***

– ეგენი თავიანთი ნებით სად წავლენ? მათ დღეს იმხელა მანდატი აქვთ, რაც ნამდვილად არ შეესაბამება მათ რეიტინგს. არ შეიძლება, 2%-იან პარტიას აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებაში ამდენი კაცი ჰყავდეს. იმედი მაქვს, რომ საარჩევნო სიის შედგენისას ხელისუფლების პირველი პირები ამაზე დაფიქრდებიან. არა მგონია, რომ რესპუბლიკელებს საერთოდ გაუშვებენ, მაგრამ, იმედია, სიაში იმაზე მეტს არ ჩაწერენ, ვიდრე ახლა არიან.

კარგი იქნება, თუ რესპუბლიკელების პოლიტიკურ მადას აღმასრულებელ ხელისუფლებაშიც შეუკვეცენ. თინა ხიდაშელი და გიგლა აგულაშვილი მთავრობას სახელს უტეხენ.

***– რანაირად უტეხენ სახელს?***

– გარემოს დაცვის მინისტრმა აგულაშვილმა ამ ზამთარს მთელი საქართველო გაყინა. თინა ხიდაშელი კი ჯარს ლაურა ლაჭავას შეკერილი ფორმით უპირებს შემოსვას.

***– აგულაშვილმა რანაირად გაყინა ხალხი?***

– საქართველოს ნაწილი ზამთარში შეშით თბება. აგულაშვილმა ხალხს ტყიდან შეშის გამოტანის უფლება არ მისცა.

***– რა მიზეზით?***

– უთხრა, ტყეში მოსაჭრელი ხეები არ არისო. ამ საქმით აუცილებლად უნდა დაინტერესდეს გამოძიება. ჩვენც მოვიძიებთ მასალებს და გამოვაქვეყნებთ. მაგასაც ისე ვამხელთ, როგორც თინა ხიდაშელი ვამხილეთ.

როგორც უკვე გითხარით, ის აპირებს, რომ ჯარისთვის ტანსაცმელი ლაურა ლაჭავას შეაკერვინოს.

***– დაშავდება რამე, თუ ჯარისთვის ფორმას ლაჭავას ფირმა შეკერავს? მას სამკერვალო ფაბრიკები აქვს.***

– როგორ არ დაშავდება? ლაურა ლაჭავა არ არის ჩვეულებრივი მეწარმე, ის დამნაშავე კოდუების დედაა. პირადად ჩემთვის შეურაცხმყოფელია, თუ ჯარი მის მიერ შეკერილ ფორმას ჩაიცვამს.

თქვენს მკითხველსა და ხელისუფლებას შევახსენებ, რომ ლაჭავას ერთ-ერთი შვილი ჯარისკაცებს დასახოცად დასდევდა. ყველას კარგად გვახსოვს 2009 წლის ე.წ. მუხროვანის ამბოხება. იმ დღეს არის გადაღებული ცნობილი კადრები, სადაც მერაბიშვილი მაღალჩინოსნებს ეუბნება, ორი გვამი მინდაო. ამ მაღალჩინოსნებს შორის იდგა შეიარაღებული ერეკლე კოდუაც, რომელიც ერთ-ერთი პირველი გაიქცა დავალების შესასრულებლად. როგორ შეიძლება, ამ ადამიანის დედამ ჯარისთვის ფორმა შეკეროს. ეს არის ყველას და, პირველ რიგში, ქართველი ჯარისკაცების შეურაცხყოფა.

მოვუწოდებ ხელისუფლებასა და პირადად პრემიერს, დაინტერესდეს ამ საკითხით. გიორგი კვირიკაშვილს ასევე ვთხოვთ, შეხვდეს ახალგაზრდობას. ასეთი შეხვედრა აუცილებელია.

***– ახალგაზრდობასთან შეხვედრა აუცილებელია?***

– უფრო საჭიროა. საჭიროა, პრემიერი კვირიკაშვილი დაინტერესდეს ახალგაზრდების თემატიკით. თქვენი გაზეთის საშუალებით მივმართავ პრემიერს, იქნებ რამენაირად მოახერხოთ და უახლოეს პერიოდში, განსაკუთრებით მანამდე, სანამ თქვენ პარტიის ლიდერად ჩამოყალიბდებით, ამას რომ არ ჰქონდეს პოლიტიკური ელფერი, გთხოვთ, შეგხვდეთ. მოვიწვიოთ სტუდენტები, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციები, ახალგაზრდული მოძრაობები, თუნდაც პოლიტიკურად ანგაჟირებული ახალგაზრდები, რომლებიც ჭარბობს ჩვენს ქვეყანაში, მოვაწყოთ გაფართოებული შეხვედრა და განვიხილოთ ზოგადი პრობლემატიკა, რომელიც ახალგაზრდებში არის.

ბატონ კვირიკაშვილს მინდა ვთხოვო, დაუახლოვდეს და მეგობრული ურთიერთობა დაამყაროს ახალგაზრდებთან, რადგანაც ამ ქვეყანაში უამრავჯერ ვნახეთ, რა არის ახალგაზრდული ერთობა. ახალგაზრდებს ვერავინ დაუდგება წინ. ნებისმიერი ახალგაზრდა შემართულია, დაიცვას თავისი ქვეყანა როგორც ტერიტორიულად, ასევე სულიერად.

# „ქართული ოცნება“ გორზე კონტროლს კარგავს

შორენა მარსაგიშვილი

**რეგიონებში „ქართული ოცნების“ საქმეები მთლად კარგად არ მიდის. ისინი ნელ-ნელა კარგავენ რეგიონებზე კონტროლს. 5 თებერვალს ოპოზიციის ხელში გადავიდა ქალაქ გორის საკრებულო.**



„ახალი თაობა“ უკვე წერდა, რომ 5 თებერვალს დაგეგმილი იყო საკრებულოს სხდომა, სადაც საკრებულოს თავმჯდომარის იმპიჩმენტის საკითხი უნდა განხილულიყო. ამ ამბავმა ერთმანეთთან გორის მაჟორიტარი და შიდა ქართლის გუბერნატორიც დააპირისპირა.

დეპუტატი სოსო ვახტანგაშვილი გორის საკრებულოში შექმნილ კრიზისში გუბერნატორ რუსიშვილს ადანაშაულებდა და მის გადადგომას ითხოვდა.

ზურაბ რუსიშვილი არ გადადგა, გორის საკრებულოს თავმჯდომარე კი უპრობლემოდ გადააყენეს.

ქალაქ გორის საკრებულოს თავმჯდომარე პაპუნა კობერიძის თანამდებობიდან გადაყენებას მხარი 8 დეპუტატმა დაუჭირა.

კენჭისყრაში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს რესპუბლიკელებმა, ლეიბორისტებმა, პარტია „ქართული ოცნებისა“ და ბურჯანაძე – დემოკრატიული საქართველოს წარმომადგენლებმა.

პაპუნა კობერიძის იმპიჩმენტის საკითხს მხარი რამაზ იოსელიანმა, ლერი ლაფაჩმა, ილია მეტრეველმა, გიორგი ამბოკაძემ, მინდია გოდერძიშვილმა, თამარ თედლიაშვილმა, დავით წეწვაძემ და სოსო ფალელაშვილმა დაუჭირეს.

პროცედურის დაწყებამდე ჯერ კიდევ საკრებულოს თავმა პაპუნა კობერიძემ საკრებულოს წევრებს სიტყვით მიმართა.

მან აღნიშნა, რომ ის კოალიცია „ქართული ოცნების“ ერთგული რჩება. მან ერთგულება „ეროვნულ ფორუმსაც“ შეჰფიცა. კობერიძე ამ პარტიის კვოტით არის მმართველ კოალიციაში.

მიმართვის დასასრულს მან დეპუტატებს გონივრული გადაწყვეტილებისკენ მოუწოდა. დეპუტატები აცხადებენ, რომ მათ მართლაც გონივრული გადაწყვეტილება მიიღეს და კობერიძე გადააყენეს.

კობერიძის ბედის გაზიარების დიდი შანსი ჰქონდა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ნინო ზურაბიშვილს. მან გადაყენებას გადადგომა არჩია და თანამდებობიდან საკუთარი სურვილით წავიდა.

მისი განცხადებით, მიზანმიმართულად მიმდინარეობს „ქართული ოცნების“ დისკრედიტაცია, მათ შორის მოღალატეების მხრიდან.

– არ ვაპირებ, ჩავერთო სკამების გადანაწილების პროცესში. მიმდინარეობს ბინძური კამპანია, მათ შორის, მოღალატეების მხრიდან, – განაცხადა გადადგომამდე ზურაბიშვილმა.

მისმა გამოსვლამ განსაკუთრებით სოსო ფალელაშვილი გააცხარა. ცოტა ხნის წინ მას საკრებულოში



ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის პოსტი ეკავა. რამდენიმე კვირის წინ მან თანამდებობა გაურკვეველი მიზეზით დატოვა.

როგორც ადგილობრივები ამბობენ, კობერიძის გადაყენება ვახტანგაშვილისა და რუსიშვილის დაპირისპირებას კიდევ უფრო გაამწვავებს. კობერიძე მაჟორიტარი დეპუტატის კადრად მოიაზრებოდა.

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# ვახტანგ ძაბირაძე: „არაფერია უცნაური, რომ პრეზიდენტი მეორე ვადაზე ფიქრობდეს“

ნათია ხურცილავა





**პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის ის ნაშრომი წაიკითხა, რომელიც განსჯის საგანი გახდა, თუმცა იქ ვერაფერი ისეთი ამოიკითხა, რომელიც პრეზიდენტის დამოკიდებულებას დააკნინებს სამშობლოსა და ქართველი ხალხის მიმართ.**

**ვახტანგ ძაბირაძე:**

– მე ვნახე მარგველაშვილის ის ნაშრომი, რომელზეც მიუთითებდა თოფაძე, მაგრამ ვერაფერი ამოვიკითხე ისეთი, რომ ვიფიქრო, რომ მარგველაშვილს სამშობლო არ უყვარს. ჩვენ ვართ ჩვენივე საზოგადოებით უკმაყოფილო. ზოგი ამას უფრო მკვეთრად გამოხატავს, ზოგი ნაკლებად. ირაკლი კაკაბაძემ, რომლის რედაქტორობითაც დაიბეჭდა ეს წერილი, მოიყვანა მაგალითად ილიას „ჩვენისთანა ბედნიერი ერი“. უფრო შორს რომ არ წასულიყო ირაკლი, მე ჭაბუა ამირეჯიბის „საძოვარზე მიშვებული ერი ვართ“, გავიხსენებდი, რომელიც ზუსტად ასახავს დღევანდელ სამწუხარო რეალობას.

ყველაზე ცუდი ის არის, რომ ნომერ პირველი პრობლემა ამ ქვეყანაში ქონების შოვნა გახდა, სხვა დანარჩენი კი პოლიტიკის ნაწილია.

***– პოლიტიკური პიარის ნაწილია ეს ყველაფერი და სხვა არაფერი?***

– ცხადია, ეს უფრო მძაფრდება იმ შემთხვევაში, როდესაც არჩევნებია კარს მომდგარი. არანაირი რეალური მსჯელობა და პრობლემაზე საუბარი აქ არ არის. საარჩევნო წელია და შინაურიც და გარეულიც მხოლოდ იმაზე ფიქრობს, ვინ რა ადგილი და როლი დაიკავოს და მოირგოს. ამიტომ ვერ დავეთანხმები პრეზიდენტს, რომ მის წინააღმდეგ მიზანმიმართული კამპანია აგორდა. თუ ასეთი კამპანია დაიწყო მის წინააღმდეგ, მაშინ ვარწმუნებ, ის კრახით დასრულდება.

***– საპარლამენტო უმრავლესობის წევრები, კონკრეტულად მეჭიაური ამბობს, რომ პრეზიდენტის გამოსვლა ემსახურებოდა მისი პოლიტიკური მომავლის შექმნას, დიდი პოლიტიკური, ოპოზიციური ცენტრის ლიდერის როლში წარმოუდგენია მას თავიო. ეს რამდენად შეიძლება რეალური იყოს?***

– პრეზიდენტის თანამდებობა არის პოლიტიკური თანამდებობა პირველ რიგში. ის, რომ მას პოლიტიკური ამბიციები აქვს, რატომ უნდა იყოს გასაკვირი ან მიუღებელი, უბრალოდ, არ მესმის. თუ პრეზიდენტი არ ფიქრობს მის პოლიტიკურ მომავალზე, მაშინ მისი ზოგიერთი გადაწყვეტილება გაუგებარი იქნებოდა. არაფერია გასაკვირი იმაში, რომ პრეზიდენტი პოლიტიკურ მომავალზე ფიქრობდეს. რა, მეჭიაური თვითონ არ ფიქრობს პოლიტიკურ მომავალზე?! რა, პოლიტიკურ კარიერას არ იკეთებს?!

***– უმრავლესობა ამბობს, რომ პრეზიდენტი ოპოზიციის პოზიციიდან ესაუბრება. ამ შემთხვევაში პრობლემა კონსტიტუციის არგაგებაშია თუ სად არის?***

– ყველა ერთ ხმაში რომ მღეროდა, ის ოპერა უნდა დასრულდეს თუ უკვე არ დასრულდა. პრეზიდენტმა რაც თქვა, რა იყო შეუსაბამო? პრეზიდენტის გამოსვლაში მკაფიოდ იყო ხაზი გავლებული მთავრობის შეფასებასა და პოლიტიკური ვითარების შეფასებას შორის. პრეზიდენტს თავისი კომპეტენცია კარგად აქვს გააზრებული და მორგებული. პრეზიდენტს მთავრობის საქმიანობა არ შეუფასებია. პრეზიდენტმა პოლიტიკური ვითარება შეაფასა, მაგრამ ძაღლის თავი იცით, სად არის დამარხული?

რაც დალაგდა პრეზიდენტსა და პრემიერს, ინსტიტუტებს შორის ურთიერთობა, ვიღაცები თვლიან, რომ მარგველაშვილს თუ ისევ გააკრიტიკებენ, ამით ივანიშვილთან პოლიტიკურ ქულებს დაიწერენ. სამწუხაროდ, ეს მოტივია დღეს წამყვანი, ვიდრე რეალობის ობიექტური შეფასება და ასახვა.

***– უნდა გაუქმდეს თუ არა კრიზისების მართვის საბჭო?***

– მე ვთვლი, რომ არ უნდა დარჩეს და მხოლოდ პრეზიდენტთან უნდა იყოს უშიშროების საბჭო. რატომ? მე ამის არგუმენტები მაქვს და მოყვანა შემიძლია. პრეზიდენტი დაეთანხმა პრემიერს, რომ არ უნდა გაერთიანდეს უშიშროების საბჭოსთან. თუმცა, ეს მისი პოზიციაა.

***– მეორე ვადით არჩევისთვის იბრძოლებს პრეზიდენტი მარგველაშვილი? ამერიკის შეერთებულ შტატებში, როდესაც მას ეს კითხვა დაუსვეს, ღიად თქვა, რომ პოლიტიკური ცხოვრების გაგრძელებას აპირებს.***

– რატომაც არა, ის ახალგაზრდა კაცია და ერთი ვადის ამოწურვის შემდეგ, ალბათ არ აპირებს სახლში წასვლას. თუმცა, არა თუ ჩვენს ქვეყანაში, მთელ მსოფლიოში სიტუაცია ისე სწრაფად და კარდინალურად იცვლება, რომ მიჭირს პროგნოზირება, თუ რა იქნება 2017 წელს. ერთი შემიძლია გითხრათ: პრეზიდენტს პოლიტიკური კარიერის გაგრძელება რომ უნდოდეს, ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. ეს არის სრულიად ჯანსაღი და ნორმალური დამოკიდებულება.

# სერგო რატიანი: „არჩევნების წინ ივანიშვილი კვლავ ცდილობს დაიქვემდებაროს მედია“



– არჩევნების წინ ხელისუფლება კვლავ ცდილობს დაიქვემდებაროს მედია, – განუცხადა საპარლამენტო უმცირესობის წევრმა სერგო რატიანმა ჟურნალისტებს პარლამენტში მაესტროში მიმდინარე პროცესების შეფასებისას.

ოპოზიციონერი დეპუტატი გიორგი გაჩეჩილაძისა და პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის შეხვედრის საკითხსაც შეეხო და აღნიშნული ფაქტი პოლიტიკური პროცესის დასტურად მიიჩნია.

– როდესაც „იმედის“ მმართველი ფულს იხდის იმაში, რომ კონკურენტ ტელევიზიაში შეიცვალოს აქციონერთა შორის წონასწორობა და ერთ-ერთი აქციონერი, რომელიც იბარებს არხის მართვას ფაქტობრივად, ხვდება დემონსტრაციულად პრემიერ-მინისტრს, ეს არის საკმარისზე მეტი არგუმენტი იმისათვის, რომ აქ პოლიტიკური პროცესებია. არჩევნების წინ ხელისუფლება და ბიძინა ივანიშვილი კვლავ ცდილობენ დაიქვემდებარონ მედია. ეს მეთოდი აპრობირებულია რუსეთში. ეს სცენარი არის დაახლოებით იგივე, როგორც იყო რუსთავი 2-თან მიმართებაში, როდესაც საზოგადოებას უნდა წარმოუდგინონ, თითქოს ეს არის ორ კერძო სუბიექტს შორის დავა, – განაცხადა სერგო რატინმა.

**მედიანიუსი**

# სკანდალის გამო ცენტრალურ აფრიკაში 120 სამხედრო საქმიანობას ჩამოშორდება

გაერო ცენტრალური აფრიკის ტერიტორიაზე 120 მშვიდობისმყოფელს სამხედრო საქმიანობას ჩამოაშორებს.

სამხედრო საქმიანობას ის ჯარისკაცები ჩამოსცილდებიან, ვინც ბამბარიში მომხდარი სექსუალური ძალადობის ფაქტებზე, მათ შორის არასრულწლოვანებთან დაკავშირებით არიან ეჭვმიტანილები.

ამის შესახებ გაეროს გენერალური მდივნის წარმომადგენელმა, ფარჰან ჰაქმა განაცხადა.

მისი თქმით, ეჭვმიტანილი ჯარისკაცები მხოლოდ კონგოს რესპუბლიკიდან და კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკიდან არიან.

მათი დანაშაულებრივი ქმედების შესახებ



ორგანიზაცია ჰუმან რაით ვოთჩის ანგარიშიდან გახდა ცნობილი.

გაერომ კონგოს რესპუბლიკას და კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკას გამოძიების დაწყება უკვე მოსთხოვა.

ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში გაეროს უმაღლესმა კომისარმა გასულ კვირას ანგარიში გამოაქვეყნა, სადაც საუბარია ევროკავშირის სამშვიდობო მისიაში მონაწილე ჯარისკაცების სავარაუდო დანაშაულებზე. როგორც ანგარიშშია ნათქვამი, ქართველ და ფრანგ ჯარისკაცებს, რომლებიც მისიას ცენტრალურ აფრიკაში იხდიან, ქალებზე სექსუალურ ძალადობაში ადანაშაულებენ. ანგარიშში აღნიშნულია, რომ ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში მისიის შესრულების დროს, სამხედროები სექსუალურ კავშირს ამყარებდნენ, თუმცა ფაქტის მტკიცებულებებზე საუბარი არ არის.

**ნიუსპრესი**

**გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

**მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6**

**☎ 577-29-37-41, 247-58-83**

# „საქართველოს მიერ ჰააგაში შეტანილი სარჩელი თვით საქართველოსთვისაა სახიფათო“



ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო იმ სამხედრო დანაშაულთა გამოძიებას იწყებს, რომლებიც, სავარაუდოდ, 2008 წლის აგვისტოში მომხდარი ქართულ-რუსული სამხედრო კონფლიქტის დროს იქნა ჩადენილი. პროკურორმა ფატუ ბენსუდამ უკვე განაცხადა, რომ არის ფაქტები, რომლებითაც ორივე მხარის მიერ ჩადენილი დანაშაულობები დასტურდება, მათ შორის წამება, მკვლელობები, ადამიანთა იძულებით გაძევება მშობლიური ადგილებიდან, ძარცვა და მშვიდობისმყოფლებზე თავდასხმა.

ამავე დროს ექსპერტმა დავით გამცემლიძემ „რადიო ფრანსე ინტერნასიონალე“-სთან ინტერვიუში განმარტა, თუ რატომ შეიძლება საქართველოს მიერ რუსეთის წინააღმდეგ სასამართლოში წარდგენილი სარჩელი თბილისს ისევ უკან შემოუბრუნდეს.

ფრანგული რადიოს მიერ გაშუქებული მასალის რეზიუმეს საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ:

დავით გამცემლიძე:

– საერთაშორისო სამართლის გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით პროკურორ ფატუ ბენსუდას 2008 წლის აგვისტოში სამხრეთ ოსეთში მომხდარი კონფლიქტის დროს კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი სავარაუდო სამხედრო დანაშაულობათა გამოძიება დაევალა, ისტორიულ, მაგრამ იმავდროულად სახიფათო გადაწყვეტილებადაც შეიძლება ჩაითვალოს, რადგან არაა გამორიცხული, რომ სარჩელის წარმდგენ სახელმწიფოს, ანუ საქართველოს, ბრალდებები უკან შემოუბრუნდეს.

საქმე იმაში გახლავთ, რომ საქართველომ არა მარტო ხელი მოაწერა რომის სტატუტს (ხელშეკრულებას სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შექმნის შესახებ), არამედ ამ სტატუტის რატიფიცირებაც მოახდინა. ეს ნიშნავს, რომ საქართველოზე და მის მოქალაქეებზე, რომლებიც ჩაიდენენ დანაშაულს, ან ეჭვმიტანილნი იქნებიან დანაშაულის ჩადენაში, უმაღლესი მთავარსარდლიდან (პრეზიდენტიდან) დაწყებული, რიგითი კაპრალით დამთავრებული, ამ სასამართლოს იურისდიქცია გავრცელდება.

რუსეთმა, მართალია, ხელი მოაწერა რომის სტატუტს, მაგრამ მისი რატიფიცირება არ განუხორციელებია. გამოდის, რომ რუსეთს ჰააგის სასამართლოს წინაშე არავითარი ვალდებულება არ აქვს აღებული და თანამშრომლობას მხოლოდ ნებაყოფლობითი ხასიათი ექნება, ანუ სასამართლოს უფლება არ აქვს მოითხოვოს რუსეთის მოქალაქეების დაკითხვა.

საქართველო კი, რუსეთისაგან განსხვავებით, ვალდებულია განუხრელად შეასრულოს ჰააგის სასამართლოს ყველა მოთხოვნა და თავისი მოქალაქეების ექსტრადირებაც კი მოახდინოს ჰააგაში, სხდომაზე დასწრების მიზნით.

როცა საქართველომ სარჩელების შეტანა დაიწყო, იმედი ჰქონდა, რომ ის მტკიცებულებები, რომლებიც ჰააგაში იქნებოდა წარდგენილი, საკმარისი იქნებოდა იმისთვის, რომ რუსეთის გენერალიტეტი სამხრეთ ოსეთის ქართული მოსახლეობის ეთნიკურ წმენდაში დადანაშაულებულიყო.

მაგრამ ისე გამოვიდა, რომ ჰააგის სასამართლო რუსულ მხარეს პასუხისმგებლობას ვერ დააკისრებს, რადგან რუსეთი ვალდებული არ არის მონაწილეობა მიიღოს ამ გამოძიებაში და მხოლოდ მის სურვილზეა დამოკიდებული, ითანამშრომლებს მასთან თუ არა. საქართველო კი ვალდებულია, საერთაშორისო სამართლისა და რომის სტატუტის თანახმად, პროკურორს და გამომძიებლებს, მოთხოვნის შესაბამისად, ყველა სახის ინფორმაცია მისცეს და მათი განკარგულებები შეასრულოს.

იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანის განცხადებიდან ირკვევა, რომ საქართველოს ხელისუფლება იმედოვნებდა იმასაც, რომ ყველა დანაშაული, მათ შორის ეთნიკური წმენდებიც მოხდა საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებულ ტერიტორიაზე და ისინი, ქართული მხარის ინტერპრეტაციით, რუსეთის ჯარებმა ჩაიდინეს და რომ ჰააგის სასამართლო გამონახავს ინსტრუმენტებს რუსული მხარის პასუხგებაში მიცემის მიზნით.

– რაში გამოიხატება რუსული და ქართული მხარის ბრალდებები?

– რუსეთი საქართველოს ბრალს სდებს რუს მშვიდობისმყოფლებზე თავდასხმაში 2008 წლის 10 აგვისტოს.

დადგენილია, რომ ამ თავდასხმის და ცხინვალის დაბომბვის შედეგად, სადაც შერეული საერთაშორისო სამშვიდობო ძალების ბაზა მდებარეობდა (იურიდიულად მასში რუსი, ქართველი და ოსი სამხედრო კონტინგენტები შედიოდა, მაგრამ იმ მომენტისათვის ბაზაზე ფაქტიურად მხოლოდ რუსი სამხედრო მოსამსახურეები იმყოფებოდნენ), ათი რუსი მშვიდობისმყოფელი დაიღუპა.

რუსეთი მიიჩნევს, რომ ეს საერთაშორისო დანაშაულის ფაქტს წარმოადგენს, რომელიც საქართველოს ხელისუფლებამ ჩაიდინა. შესაბამისად, მოსკოვი აცხადებს, რომ სასამართლოს ყველა მასალას აწვდის ქართული მხარისადმი პასუხისმგებლობის დაკისრების მიზნით.

# თამარ ჩხეიძე: „პოლიტიკაში არსებული რეალობა გარდაბნის არჩევნებზე გამოჩნდა“

## „ხელისუფლება პოპულარული ტელეარხების გაკონტროლებას ცდილობს“



მარიამ მჭედლიშვილი

**პრემიერ-მინისტრისა და პრეზიდენტის განცხადებები პოლიტიკაში კონფრონტაციულობის დამთავრების აუცილებლობის შესახებ ვერ შეანელებს წინასაარჩევნო დაძაბულობას. თუმცა, ილია ჭავჭავაძის საზოგადოების თავმჯდომარე თამარ ჩხეიძე როგორც „ახალ თაობასთან" ინტერვიუში აცხადებს, დაპირისპირების შემცირების ნიშნები თვალსაჩინოა.**

**თამარ ჩხეიძე:**

— არჩევნების წინ წარმოუდგენელია პოლიტიკურ ძალებს შორის კონფრონტაციული რეჟიმის დაძლევა. თუმცა, ახალი პრემიერის მოსვლის შემდეგ გამოიკვეთა დაპირისპირების შემცირების ნიშნები და ურთიერთობის ახალი სტილი.

კვირიკაშვილი არ არის დაპირისპირებული პრეზიდენტთან, როგორც ღარიბაშვილი იყო. პრემიერი არ ამბობს უარს ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომებში მონაწილეობაზე. ის ესწრება პრეზიდენტის მოხსენებას პარლამენტში. მთლიანობაში, ძირეული ცვლილებები ვერ მოხდება.

***— რატომ?***

— იმიტომ, რომ მმართველობის სისტემა იგივე დარჩა. ამ სიტუაციაში პირველი პირებიც კი ვერაფერს შეცვლიან. ეს კარგად გამოჩნდა ტელეკომპანია „მაესტროში“ მიმდინარე პროცესებშიც.

***— თქვენ როგორ აფასებთ ამ პროცესებს?***

— ამ ტელეკომპანიასთან დაკავშირებულ მოვლენებზე დეტალური და სამართლებრივი ინფორმაცია არ გამაჩნია, მაგრამ, ამ სიტუაციაშიც აშკარაა, რომ იქ დადებითი პროცესები არ მიდის.

საუბარია წილების გადანაწილებაზე, მაგრამ, სინამდვილეში, ხელისუფლება ცდილობს არხის გაკონტროლებას. ამას წინ უძღოდა რუსთავი 2-ში განვითარებული მოვლენები. იქ ხელისუფლების ჩარევა აშკარა იყო.

საბოლოოდ, რუსთავი 2-ში შედეგს ვერ მიაღწიეს. მაესტრო მასშტაბებით და შინაარსით რუსთავი 2-ს ვერ გაუტოლდება, მაგრამ პოპულარული არხია. ხელისუფლებამ გადაწყვიტა მისი დაქვემდებარება.

***— არსებობს მოსაზრება, რომ ტელეკომპანიებზე კონტროლის დაწესება ამაოა იმ დროს, როცა არსებობს ინტერნეტმაუწყებლობა, მუშაობენ სხვა პატარა ტელეკომპანიები..***

— არ ვეთანხმები, რომ ასეთი კონტროლის დაწესება ამაოა და ამას ხელისუფლებისათვის მნიშვნელობა არა აქვს. პირიქით, იმ ხელისუფლებისათვის, რომელიც თავისუფალ სიტყვას ზღუდავს, ამას უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს. იმ ტელევიზიების მასშტაბები და გავლენა, რომელიც ახსენეთ, ბევრად მცირეა პოპულარულ არხებთან შედარებით.

***— საპარლამენტო არჩევნები ახლოვდება. შეიძლება თუ არა გარკვეული დასკვნების გამოტანა გარდაბნის გამგებლის რიგგარეშე არჩევნებიდან, რომელიც ცოტა ხნის წინ გაიმართა?***

— ჩემი აზრით, გარდაბნის გამგებლის არჩევნების შედეგებმა აჩვენა ის რეალური სურათი, რომელიც დღეს გვაქვს. ადრეც ვამბობდი, რომ მთავარი სუბიექტები ისევ „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა არიან. ამ არჩევნებზეც ეს გამოჩნდა.

***— თუმცა, არჩევნებში სხვა სუბიექტების მონაწილეობის შემთხვევაში პროცენტები სხვანაირად გადანაწილდება?***

— შედეგი პროცენტულად განსხვავებული იქნება, მაგრამ სურათი იგივე დარჩება. სიტუაციას მხოლოდ გლობალური მოვლენები გარდატეხს.

***— საერთაშორისო სიტუაციას გულისხმობთ?***

— საერთაშორისო სიტუაციასაც, შიდა მოვლენებსაც. შესაძლოა, რაღაც მოვლენები მოხდეს საქართველოშიც და ამან შეცვალოს პოლიტიკურ ძალთა განლაგება.

***— იმ პარტიებს თუ შეუძლიათ სიტუაციის შეცვლა, რომლებიც საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებას მოითხოვენ?***

— ვითარება შეიცვლება მხოლოდ გლობალური ფაქტორებით. ვეთანხმები მოთხოვნას არჩევნების მთლიანად პროპორციული წესით ჩატარების თაობაზე. პარტიები ყველა აუცილებელ მოთხოვნას ამ თემაზე არ აყენებენ. ისინი გარდატეხასაც ვერ შეიტანენ.

***— პაატა ბურჭულაძის თქმით, კონცეფციას ქვეყნის განვითარებაზე სამ თვეში წარმოადგენს.***

— მოახლოებული არჩევნებისათვის ეს დაგვიანებული იქნება. პაატა ბურჭულაძის გამოჩენა საერთოდ არ არის იმ მასშტაბის მოვლენა, რომელიც შეცვლის ძალთა განლაგებას.

***— ექსპერტების აზრით, „ქართულ ოცნებას“ ლეგიტიმაციის პრობლემები ექნება არჩევნების შემდეგ და ეს კრიზისში გადაიზრდება..***

— ალბათ, იგულისხმება, რომ „ქართული ოცნება“ დაბალ მხარდაჭერას მიიღებს არჩევნებზე. ასეთი რამ გამორიცხული არ არის. უნდა ითქვას, რომ ამ კოალიციას მცირე პროცენტის აღებაც გაუჭირდება. ამისთვისაც დიდი ძალისხმევა დასჭირდება, მიუხედავად იმისა, რომ ნებისმიერ მმართველ ძალას დიდი უპირატესობა აქვს. ჩემი აზრით, პარლამენტში მივიღებთ ან იმავე განლაგებას, რაც გარდაბანში გამოჩნდა. ან მოხდება გლობალური ცვლილებები, რაც შეცვლის ძალთა ბალანსს.

# რას ვერ იყოფენ თიბილოვი და ბიბილოვი

შორენა მარსაგიშვილი

**აფხაზებისა არ იყოს, ცხინვალელი ოსებიც ყველაფერში ქართველ პოლიტიკოსებს ბაძავენ. საქართველოს პარლამენტისა არ იყოს, ცხინვალელი კანონმდებლებიც ირონიულად უყურებენ პრეზიდენტს, ოღონდ, თავიანთ პრეზიდენტს.**

ადგილობრივ მედიაში არაერთხელ დაიწერა, რომ სპიკერ ბიბილოვისა და პრეზიდენტ თიბილოვის დაპირისპირების მთავარი მიზეზი მოახლოებული საპრეზიდენტო არჩევნებია.

აქაურები არჩევნების ჩატარებას მომავალი წლის გაზაფხულზე აპირებენ. მონაწილეობის მიღებას თიბილოვიც აპირებს და ბიბილოვიც. გამოდის, რომ სამხრეთელთა კანდიდატებს შორის განსხვავება მხოლოდ ერთ ასოში იქნება. ერთის გვარი თ-ზე იწყება, მეორის — ბ-ზე. სხვა მხრივ, ორივე რუსეთის მოყვარული და მისი ნების აღმსრულებელია.

მოსახლეობის გულის მოსაგებად ლამის მოგვარეები ყველაფერზე მიდიან. ამ ეტაპზე ვითარება თიბილოვმა გაამწვავა.

როგორც ოსური მედია იუწყება, პრეზიდენტის ადმინისტრაციამ სამუშაო ჯგუფიდან გამოაძევა პარლამენტის ვიცესპიკერი დმიტრი ტასოევი. რომელიც ამავე დროს თავდაცვისა და უსაფრთხოების კომიტეტს თავმჯდომარეობს.

ტასოევი პარალელურად იმ სამუშაო ჯგუფის წევრი იყო, რომელიც რუსეთთან გასაფორმებელ ხელშეკრულებებზე მუშაობდა. სამხრეთელნი ამ ეტაპზე თავდაცვის სფეროში გასაფორმებელი შეთანხმების ტექსტს ამზადებდნენ. დოკუმენტი დათქმულ ვადებში ვერ მომზადდა და ამის გამო პასუხი ტასოევს მოსთხოვეს.





ოსი კანონმდებელი ამტკიცებს, რომ ამ საქმეში უბრალოა და ჩავარდნას მთლიანად პრეზიდენტის ადმინისტრაციას აკისრებს. ისიც გაირკვა, რომ ტასოევს სამუშაო ჯგუფის შეხვედრებს საერთოდ არ ასწრებდნენ.

— გამუდმებით ხდებოდა ჩემი იგნორირება, არ მეძახდნენ სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე, თქვენ წარმოიდგინეთ, ისიც კი არ ვიცი, ვინ არის ამ ჯგუფში. ისიც კი არასდროს უთქვამთ, როდის ტარდებოდა ეს შეხვედრები, — შესჩივლა ოსურ მედიას ტასოევმა.

მისი განცხადებით, პრეზიდენტის ადმინისტრაცია საკითხს უპასუხისმგებლოდ მიუდგა. ამის შედეგად კი სამჯერ გადაიწია დოკუმენტზე ხელმოწერის თარიღმა.

ჟურნალისტებთან საუბარში მან ისიც განაცხადა, რომ პრეზიდენტის ადმინისტრაცია სხვა დეპუტატების იგნორირებას ახდენს.

4 თებერვალს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში საკითხზე სასაუბროდ თავი მინისტრებსა და დეპუტატებს მოუყარეს. იმის მიუხედავად, რომ საერთო ენა მოენახათ, მხარეებმა ერთმანეთი დაადანაშაულეს, რაც ტასოევის წამოსვლით დასრულდა.

მოადგილისა და კოლეგის დაჩაგვრამ სერიოზულად აღაშფოთა ანატოლი ბიბილოვი. მისი განცხადებით, დოკუმენტის მოუმზადებლობაზე პასუხისმგებლობა მთლიანად პრეზიდენტის ადმინისტრაციას ეკისრება.

ბიბილოვი თიბილოვის კანტორას კანონმდებლების იგნორირებასაც სდებს ბრალად. მისი განცხადებით, ტასოევს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროს ალან ჯიოევის უშუალო მითითებით არ ასწრებდნენ სამუშაო ჯგუფის სხდომებს.

— ერთ-ერთი სხდომის წინ ჯიოევმა ახლა უკვე ყოფილ თავდაცვის მინისტრ იახნოვეცს უთხრა, რომ შეხვედრას დმიტრი ტასოევი არ უნდა დასწრებოდა. ამის შესახებ თავად იახნოვეცმა მითხრა, — განაცხადა თიბილოვმა.

მისივე განცხადებით, პრეზიდენტის ადმინისტრაცია იმიტომ გადაეკიდა ტასოევს, რომ ის პროექტის მომზადების შეფერხებაში თავდაცვის სამინისტროს ადანაშაულებდა.

გაცეცხლებული სპიკერი პირობას დებს, რომ ამ საქმეს ასე არ დატოვებს და უახლოეს მომავალში საპარლამენტო განხილვას გეგმავს, რაც, ოსი ექსპერტების აზრით, თიბილოვისა და ბიბილოვის ურთიერთობას კიდევ უფრო დაძაბავს.

# გიორგი კვირიკაშვილი: „ქვეყანა უნდა ავაგუგუნოთ“

საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, სახელმწიფოს ვალია, დედაქალაქი განავითაროს, რათა შეიქმნას სამუშაო ადგილები და მოსახლეობამ ეკონომიკური წინსვლა იგრძნოს.

პრემიერმა ეს განცხადება პროექტი „ახალი ტფილისის“ პრეტენზაციაზე სიტყვით გამოსვლისას გააკეთა.



კვირიკაშვილის თქმით, შენობების რესტავრაციის დროს მთავარი კომპონენტია, რომ მათ ძველი იერსახე არ შეეცვალოს.

— დღეს შეგვიძლია დავიწყოთ ახალი პროექტი „ახალი ტფილისი“, რომელიც გვაძლევს საშუალებას, მივხედოთ ჩვენს თბილისს, მოვუაროთ და აღვადგინოთ ძველი უბნები. თბილისი არის განსაკუთრებული ქალაქი განსაკუთრებული ადგილმდებარეობითა თუ არქიტექტურით და ჩვენი ვალია, რომ წინაპრების დანატოვარი განვაახლოთ, განვავითაროთ ტურიზმი და ეკონომიკა იმისთვის, რომ ჩვენი მცხოვრებლებისათვის ქალაქი გახდეს საინტერესო, შეიქმნას ახალი სამუშაო ადგილები. ასევე, ქალაქი მიმზიდველი იქნება ტურისტებისთვისაც, — განაცხადა კვირიკაშვილმა.

როგორც პრემიერი აღნიშნავს, ახალი პროექტი ახალი მიდგომებით გამოირჩევა.

— მინდა ყველას დიდი მადლობა ვუთხრა ამ პროექტში ჩართვისთვის. ჩვენ ჩვენი ქალაქი ისე უნდა განვავითაროთ, რომ შევინარჩუნოთ ის მემკვიდრეობა, რომელიც გვაქვს, მაგრამ, ამავე დროს, შევძინოთ ახალი ენერგია ეკონომიკური განვითარებისათვის, — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

კვირიკაშვილის თქმითვე, პროექტის ფარგლებში ახალი რეკრეაციული სივრცეებიც შეიქმნება, რაც ეკოლოგიური ფონის გაუმჯობესებისთვის მნიშვნელოვანია.

— ჩვენ არა მხოლოდ ფასადებს აღვადგენთ, ეზოებში შევალთ და მთლიანად აღვადგენთ საინჟინრო და საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურას. ვფიქრობთ, რომ ეს გაზრდის უძრავი ქონების ფასებს თბილისში. მნიშვნელოვანია ის, რომ პროექტი დამთავრდეს ვადებში. ესაა 2016 წლის ბოლოს, როცა ჩვენ გვექნება განახლებული რაიონი, ახალი კაფე-ბარებით, ძალიან ლამაზი ბაღებით. ქალაქს შეემატება ახალი ტურისტული მარშრუტები და ყველა შენობაზე, რომელთა აღდგენაც მოხდება, გამოკრული იქნება კალენდარი, რა ვადებში დამთავრდება თითოეული შენობის რესტავრაცია. მინდა თბილისს ვუსურვო დინამიზმი იმისათვის, რომ ცხოვრება გახდეს უფრო საინტერესო და იმედის მომცემი და უნდა ვთქვა, რომ ეს ქვეყანა ჩვენ ყველამ ერთად უნდა ავაგუგუნოთ, — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

**ნიუსპრესი**



# თამაზ მეჭიაური: „მარგველაშვილი ქართველების შეფასებაში სწორი იყო“

პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე თამაზ მეჭიაურის განცხადებით, პრეზიდენტის ძველი განცხადებები რომ შეესწავლა, მის კანდიდატურას მხარს არ დაუჭერდა.

თამაზ მეჭიაურმა ამის შესახებ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.

დეპუტატის თქმით, პრეზიდენტმა თავის სტატიაში, სადაც ქართველებს გონებაჩამორჩენილი ერი უწოდა, სწორი შეფასება გააკეთა და ეს იმითაც მართლდება, რომ ქართველმა ხალხმა პრეზიდენტად სწორედ ის აირჩია.

— უნდა შევეგუოთ იმას, რომ ჩვენ თვითონ შევარჩიეთ ასეთი კაცი, რომელსაც შეეძლო, თავის ერზე ასე ელაპარაკა და პირდაპირ გეტყვით, ალბათ, სწორი იყო პრეზიდენტი, როცა ასეთ შეფასებას აძლევდა ქართველ ერს. ეს გამართლდა იმითაც, რომ ხალხმა ის აირჩია პრეზიდენტად, — განაცხადა თამაზ მეჭიაურმა.

* * *

პრეზიდენტის პარლამენტში ყოველწლიური ანგარიშის წარდგენისას უმრავლესობის წევრმა გოგი თოფაძემ გიორგი მარგველაშვილს მისი დაწერილი სტატია გაახსენა, სადაც ის ქართველ ერს განუვითარებელსა და გონებაჩამორჩენილს უწოდებს.

**ნიუსპრესი**



# კახა კალაძე: „კახეთში აღმოჩენილია გაზის იმხელა მოცულობა, რომელიც თურქმენეთსაც არ გააჩნია“

კომპანია „ფრონტერას“ მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში გაზის იმხელა მოცულობებზე იყო საუბარი, რომელიც თურქმენეთსაც არ გააჩნია, – ამის შესახებ ვიცე-პრემიერმა, ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ კომპანია „ფრონტერას“ იმ ინფორმაციის კომენტირებისას განაცხადა, რომლის თანახმადაც კახეთში აღმოჩენილი ბუნებრივი აირის მარაგი 3,8 ტრილიონ კუბურ მეტრს აღწევს.

როგორც მინისტრმა განაცხადა, აღნიშნულის დასამტკიცებლად საჭიროა მილიარდობით ინვესტიცის განხორციელება და დამტკიცების შემთხვევაში ამის შემდეგ იქნება გადაწყვეტილება მიღებული, თუ რამდენად სწორი იქნება კომერციულად, ფინანსურად, ბიზნესის თვალსაზრისით, ამ გაზის ამოღება.

**კახა კალაძე:**

– იმხელა მოცულობებზე იყო საუბარი, რომელიც თურქმენეთსაც და სხვადასხვა ქვეყანას, ვინც ნავთობის და გაზის მოპოვებით არის დაკავებული, არ გააჩნიათ.

შეიძლება მიწის ქვეშ რაღაც გარკვეული მარაგები იყოს, თუმცა ამის დასამტკიცებლად მილიარდობით ინვესტიციის განხორციელებაა საჭირო.

დამტკიცების შემთხვევაში, მერე უნდა იყოს გადაწყვეტილება მიღებული, თუ რამდენად სწორი იქნება კომერციულად, ფინანსურად ბიზნესის თვალსაზრისით, ამ გაზის ამოღება.

მისივე თქმით, „ფრონტერა“ საქართველოში 20 წელია მოღვაწეობს და მათ მიერ წარმოდგენილ ლიცენზიაში, რომელიც ყოველწლიურად ახლდება, ამ სამუშაოების განხორციელებაზე არაფერი წინადადება არ არის.

ატლანტიკური საბჭოს ანგარიშის თანახმად, „სამხრეთ კახეთის გაზის კომპლექსში“ აღმოჩენილი ბუნებრივი აირის მარაგი 3,8 ტრილიონ კუბურ მეტრს აღწევს. ანგარიში კომპანია „ფრონტერას“ ინფორმაციას ეყრდნობა.'

**ინტერპრესნიუსი**

# ქვევრის ღვინო საფრანგეთის ხუთ ქალაქში იყო წარდგენილი

ქართული ქვევრის ღვინო მიმდინარე კვირაში ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით პარიზში, ბლუაში, ანჟეში, სომურსა და ორლეანში სხვადასხვა ღონისძიებაზე იყო წარდგენილი.

ქალაქ სომურში გამართულ ბუნებრივი ღვინოების გამოფენას „La Dive Boutteille“, სადაც ქვევრის ღვინის მწარმოებლები მონაწილეობდნენ, საფრანგეთში საქართველოს ელჩი ეკატერინე სირაძე-დელონე და ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი სამანიშვილი დაესწრნენ. გამოფენა ტრადიციულად ცქრიალა ღვინოების მწარმოებელი კომპანიის „ძცკერმან“ ისტორიული გვირაბში ჩატარდა. ორდღიან გამოფენაში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ასობით მეღვინე მონაწილეობდა.

საფრანგეთში საქართველოს ელჩის განცხადებით, მსგავს ღონისძიებებში ქართული ღვინის წარდგენით იზრდება შესაძლებლობა, რომ საქართველო სულ უფრო მეტმა ადამიანმა გაიცნოს როგორც ღვინის მწარმოებელი ქვეყანა.

– საფრანგეთში ქართული ღვინის წარდგენა მსოფლიო მასშტაბის აღიარებაა. აღნიშნულ ღონისძიებებზე ქართულ ღვინოს არა მარტო ფრანგები, ასევე სხვა ქვეყნების წარმომადგენლებიც ეცნობიან, ამიტომ ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რომ მაქსიმალურად გავაკეთოთ ქართული ღვინის პრომოცია და წარმოდგენილი ვიყოთ ყველა მსგავს ღონისძიებაზე.

შედეგები უკვე სახეზე გვაქვს, რადგან სულ უფრო მეტი და მეტი ფრანგი საუბრობს, რომ საქართველო არის ღვინის სამშობლო“ – აღნიშნა ეკატერინე სირაძე-დელონემ.

თავის მხრივ, ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ქართული ღვინის იმიჯისთვის



ქვევრის ღვინოს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.

– აღნიშნულ გამოფენაზე წარმოდგენილია ქვევრის ღვინოები, რომელზეც უფრო და უფრო მეტს საუბრობენ საფრანგეთში.

ქვევრის ღვინო ჩვენი ერთგვარი სავიზიტო ბარათია, იმისთვის რომ ქართული ღვინო უფრო ცნობილი გახდეს ამ უმნიშვნელოვანეს და უდიდეს ბაზარზე.

საფრანგეთში ღვინის წარდგენით ქართული ქვევრის ღვინო ცნობილი ხდება ფაქტობრივად მსოფლიოს ყველა მნიშვნელოვან ბაზარზე.

ქართული ღვინო მომავალშიც იქნება წარმოდგენილი ნატურალისტი მეღვინეების გამოფენებზე, რაშიც ქვევრის ღვინის მწარმოებლებს ღვინის ეროვნული სააგენტოც დაეხმარება, – აღნიშნა გიორგი სამანიშვილმა.

ქვევრის ღვინის მწარმოებლები ასევე მონაწილეობდნენ ამავე პერიოდში ქალაქ ანჟეში ჩატარებულ ბუნებივი ღვინოების გამოფენაში „Les Penitentes“. აღნიშნულ გამოფენებზე ქართული ღვინო წარდგენილი იყო მსოფლიოს მეღვინეობით სახელგანთქმული ისეთი ქვეყნების გვერდით, როგორიცაა საფრანგეთი, იტალია და ესპანეთი.

ქვევრის ღვინის მწარმოებელი კომპანიები აღნიშნულ გამოფენებზე გასულ წლებშიც მონაწილეობენ. ქართველი მეღვინეები აცხადებენ, რომ ანჟესა და სომურის ტრადიციულმა გამოფენებმა მათ მნიშვნელოვანი იმპორტიორები შესძინა, რამაც შესაბამისად ღვინის ექსპორტის ზრდა გამოიწვია.

‘’La Dive Boutteille“ და „Les Penitentes“ საფრანგეთში ითვლება წლის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად ბუნებრივი მეღვინეობის სფეროში, რომელსაც მსოფლიოში ცნობილი ნატურალისტი მეღვინეები, სხვადასხვა ქვეყნის ღვინის იმპორტიორები, ბაიერები, მედიის წარმომადგენლები და სომელიეები ესწრებიან.

გამოფენებთან ერთად ქართული ღვინის დეგუსტაცია გაიმართა პარიზში, ბლუასა და ორლეანში სპეციალიზირებულ ღვინის მაღაზიებსა და ბარებში.

დეგუსტაციას უძღვებოდნენ ფრანგი სომელიე სებასტიან შატილონი და ფრანგი მეღვინე ტიერი პუზელატი. ქვევრის ღვინომ ადგილობრივი ღვინის იმპორტიორების, ღვინის მაღაზიებისა და რესტორნების წარმომადგენლების, ასევე ღვინის მოყვარულების დიდი ინტერესი და მოწონება დაიმსახურა.

მსგავს გამოფენებსა და დეგუსტაციებში მონაწილეობით იზრდება ქართული ღვინის ცნობადობა და პოპულარიზაცია, რაც შესაბამისად ექსპორტისა და საექსპორტო ბაზრების ზრდას იწვევს.

მეღვინეობით სახელგანთქმულ ისეთ ქვეყანაში როგორიც საფრანგეთია, 2015 წელს საქართველოდან 38 ათასი ბოთლი ღვინო იყო იმპორტირებული, რაც 190%-ით მეტია 2014 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. საფრანგეთში ექსპორტის ძირითადი წილი სწორედ ქვევრის ღვინოზე მოდის.

**ნიუსპრესი**

# „თბილისის მერია საზოგადოებას ატყუებს“

თბილისის მერია საზოგადოებას ატყუებს, როდესაც გერმანულს უწოდებს კომპანიას, რომლის რჩევაშიც – სააკაძის მოედანზე შუქნიშნის დამონტაჟების თაობაზე, 40.000 ევრო გადაიხადა.

ამის შესახებ „ეკო-ტრანსპორტ“ ცენტრის ხელმძღვანელმა, ვასო ურუშაძემ „ბიზნესპრესნიუსთან“ განაცხადა.

მისი თქმით, კომპანია, რომლისგანაც თბილისის მერიამ კონსულტაცია მიიღო, გერმანიაშია დარეგისტრირებული, მაგრამ რუსეთში საქმიანობს. ამიტომ თბილისის მერია, როდესაც მას გერმანულ კომპანიად მოიხსენიებს, საზოგადოებას ატყუებს.

**ვასო ურუშაძე:**

– ეს არის რუსულ ბაზარზე ორიენტირებული კომპანია და მხოლოდ რუსული გამოცდილებით შემოიფარგლება. ამ კომპანიის უკან, რა თქმა უნდა, დგას თბილისის მერია, რადგან თბილისის მერიამ მიიღო გადაწყვეტილება და გააფორმა ხელშეკრულება.

კონკრეტულ პირებზე საუბარი ჩემი მხრიდან მიზანშეწონილი არ იქნება. ეს არის მთლიანად მერიის პოლიტიკა. პირველი შეცდომა, რაც მერიამ დაუშვა, არის ის, რომ ამ კონსულტაციის მომსახურებაზე კონკურსი არ გამოაცხადა.

მისვე თქმით, როცა მსოფლიოს, ევროპის მასშტაბით უამრავი ქვეყანა და უამრავი კომპანია არსებობს, რომლიც ამ საქმიანობით არის დაკავებული და თბილისის მერია სწორედ იმ კომპანიას არჩევს, რომელიც მოღვაწეობს ისეთ ქვეყანაში, როგორიც არის კორუმპირებული რუსეთი, ეს საფუძვლიან ეჭვებს აჩენს.

– მერიას 2016 წლის ბიუჯეტში 4 მილიონი აქვს გამოყოფილი კონსულტაციებისთვის და მსგავსი მომსახურებისთვის, რომელიც ამ კომპანიამ მერიისთვის შეასრულა.

ვფიქრობთ, ჩვენს მიერ გაჟღერებული ინფორმაციები საინტერესო იქნება სამართალდამცავი ორგანოებისთვისაც. უნდა ხდებოდეს საკითხის



საფუძვლიანად შესწავლა, გამოძიება და ეს უკვე ჩვენს კომპეტენციაში აღარ შედის. ვასო ურუშაძის თქმით, შუქნიშნების სააკაძის მოედანზე დამონტაჟება არასწორი გადაწყვეტილებაა.

– პირველ რიგში, ჩვენთვის მიუღებელი იყო შუქნიშნის დამონტაჟების იდეა, ყველა ექსპერტს, ყველა სპეციალისტს ძალიან კარგად ესმის, რომ მსგავსი კვანძების განტვირთვა შუქნიშნის დამონტაჟებით შეუძლებელია.

ეს ნაკადები, რომლებიც ერთმანეთს აღნიშნულ გზაჯვარედინებზე თუ წრიულ მოძრაობაზე კვეთს, აუცილებელია ერთმანეთს ავარიდოთ, ეს შეიძლება მოხდეს ესტაკადების მეშვეობით, პანდუსებისა და გვირაბების მშენებლობით. შესაბამისად, შუქნიშნის დამონტაჟებამ თეორიულ დონეზე შეიძლება დაარეგულიროს მოძრაობა, მაგრამ მოძრაობას ვერ განტვირთავს, რადგან შუქნიშნის დამონტაჟების შემთხვევაში იზრდება ავტომობილის მოცდენის რეჟიმი, რაც ამცირებს გარკვეული კვანძის გამტარიანობის კოეფიციენტს, ამ შემთხვევაში საუბარია სააკაძის მოედანზე.

**ინტერპრესნიუსი**

# საფრანგეთში სუპერმარკეტებს იმ პროდუქტების გადაყრა აეკრძალათ, რომელიც არ გაიყიდა



კანონის დამრღვევი მაღაზიის მფლობელები 75 ათასი ევროთი ან 2 წლით თავისუფლების აღკვეთით დაჯარიმდებიან.

საფრანგეთში ძალაში შევიდა კანონი, რომელიც სუპერმარკეტებს მაღაზიის დახლზე დარჩენილი საკვებად ვარგისი სასურსათო პროდუქტის გადაყრას უკრძალავს.

კანონის თანახმად, სუპერმარკეტები ვალდებული იქნებიან გაუყიდავი პროდუქტი საქველმოქმედო ორგანიზაციებსა და კვების ბანკებს გადასცენ.

საფრანგეთის სენატმა ერთსულოვნად დაუჭირა მხარი კანონს. კანონის დამრღვევი მაღაზიის მფლობელები 75 ათასი ევროთი ან 2 წლით თავისუფლების აღკვეთით დაჯარიმდებიან. კანონი სუპერმარკეტებს ასევე ავალდებულებს, წლის განმავლობაში ხელშეკრულება დადონ საქველმოქმედო ორგანიზაციებთან.

სტატისტიკის თანახმად, საფრანგეთის ერთი მცხოვრები წელიწადში საშუალოდ 20-დან 30-მდე კგ. საკვებს ყრის. საერთო ჯამში კი, ნაგავსაყრელზე წლის განმავლობაში 13,4-22,4 მილიარდი ევროს პროდუქტი იყრება.

გაერო-ს მონაცემებით, ყოველწლიურად მსოფლიოში წარმოებული ყველა სახის საკვების პროდუქტის მესამედი – 1,3 მილიარდი ტონა იყრება, რაც ჯამში 750 მილიარდ დოლარს უდრის.

**ინტერპრესნიუსი**

# ეგვიპტე საქართველოდან ცოცხალი ცხოველების და ხორცპროდუქტების იმპორტით დაინტერესდა

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნულ სააგენტოს, ეგვიპტის სოფლის მეურნეობისა და მელიორაციის სამინისტროს ვეტერინარული მომსახურების გენერალური ორგანიზაციიდან მაღალი რანგის წარმომადგენლები სტუმრობენ.

ეგვიპტის დელეგაციის ვიზიტის მიზანი ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკაში საქართველოდან ცოცხალი საქონლის და ხორცპროდუქტების იმპორტთან დაკავშირებული ვეტერინარული პროცედურების შეთანხმება და ეპიდემიოლოგიური ვითარების გაცნობაა.

დელეგაციის წევრებმა ქართველ კოლეგებთან ერთად დაათვალიერეს მეფრინველეობის ფაბრიკები და საქართველოში მოქმედი სასაკლაოები, სადაც ცხოველთა დაკვლა ჰალალის წესით წარმოებს. სტუმრებს გააცნეს ასევე საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის თანამედროვე დიაგნოსტიკური მეთოდები.

სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილის მიხეილ სოხაძის განცხადებით, არაბული ქვეყნების დაინტერესება საქართველოდან ცოცხალი ცხოველების და ხორცპროდუქტების იმპორტით მნიშვნელოვნად გაიზარდა, რასაც ხელი შეუწყო ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით განხორციელებულმა ღონისძიებებმა და საქართველოს როგორც კეთილსაიმედო ქვეყნის იმიჯმა.

უცხოურ დელეგაციის შემადგენლობაში შედიან ეგვიპტის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვეტერინარული კარანტინის ცენტრალური დეპარტამენტის დირექტორი, დოქტორი საიდ გადელმავლა, ცხოველთა ჯანმრთელობის კვლევის ინსტისტუტის ვიცე დეკანი, პროფესორი მუმტაზ შაჰინი, ვეტერინარიის ექსპერტი, დოქტორი ჰიაეკდინ ჰუსეინ აბდელმაგედი და ეგვიპტის ბიზნესწრეების წარმომადგენლები.

**ნიუსპრესი**

# 2016 წლის მსოფლიოს ყველაზე ღარიბი ეკონომიკის ქვეყნები

„ბლუმბერგის“ მიერ გამოქვეყნებული 2016 წლის ყველაზე ღარიბი ეკონომიკის ქვეყნების რეიტინგის თანახმად, მსოფლიოს ყველაზე ღარიბი ეკონომიკის ქვეყნად ზედიზედ მეორე წელია ვენესუელა რჩება.

რეიტინგი ისერყ Iნდეხ-ს ეყრდნობა, რომელიც მსოფლიოს 63 ქვეყანაში არსებულ უმუშევრობისა და ინფლაციის მონაცემების საფუძველზეა შედგენილი.

„მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასების ვარდნამ განსაკუთრებული დარტყმა იქონია ვენესუელაზე, სადაც ექპორტის 95% სწორედ ნავთობზე მოდის.

მოსალოდნელია, რომ ვენესუელაში სამომხმარებლო საქონელზე ფასები 152%-ით გაიზრდება, უმუშევარობა კი 7,7%-ით“, – აღნიშნავს „ბლუმბერგი“.

ყველაზე ღარიბი ეკონომიკის ქვეყნების პირველ ხუთეულში ასევე მოხვდნენ არგენტინა, სამხრეთ აფრიკა, საბერძნეთი და უკრაინა. „ბლუმბერგის“ ექსპერტთა განცხადებით, ეკონომიკის მდგრადობის მხრივ კარგი ვითარება აქვთ აშშ-ს, მალაიზიას, დიდ ბრიტანეთს, ჰონგკონგს, დანიას, ჩინეთს, სამხრეთ კორეას, ტაივანსა და იაპონიას. ყველაზე „ბედნიერი“ ეკონომიკის ქვეყნებად კი, სადაც სიღარიბის მცირე ინდექსია, შვეიცარია, სინგაპური და ტაილანდი დასახელდა.

სააგენტოს ეკონომისტები ასევე აღნიშნავენ, რომ გაუმჯობესების ნიშნები შეინიშნება რუსეთის, რუმინეთისა და ირლანდიის ეკონომიკებში.

**ინტერპრესნიუსი**

# „ქვეყანას გაზის რამდენიმე მომწოდებელი უნდა ჰყავდეს“

პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის, თამაზ მეჭიაურის განცხადებით, ქვეყანას გაზის მომწოდებელი რამდენიმე ქვეყანა უნდა ჰყავდეს, რომ მხოლოდ ერთ კომპანიაზე არ იყოს დამოკიდებული.

თამაზ მეჭიაურმა ამის შესახებ ჟურნალისტებთან, კომპანია „გაზპრომთან“ მიმდინარე მოლაპარაკებებთან დაკავშირებით განაცხადა.

– ყველა ქვეყანას, მათ შორის ჩვენც, ვისაც ამის საშუალება აქვს, რამდენიმე მომწოდებელი უნდა ჰყავდეს, რომ არ იყოს დამოკიდებული რომელიმე ერთ ქვეყანაზე, მითუმეტეს არ იყოს ოკუპანტზე დამოკიდებული, – განაცხადა მეჭიაურმა.

დეპუტატის განცხადებით, საქართველო „გაზპრომისგან“ ითხოვს, გაზის ტრანსპორტირების ანაზღაურება კვლავ ნედლეულის სახით მიიღოს.

– გაზპრომი ითხოვს, რომ გაზის ტრანსპორტირების საფასური დაფაროს ფულად გამოსახულებაში და ჩვენ ვითხოვთ, რომ დარჩეს ის ძველი ფორმა, რომელიც აქამდე იყო, – განაცხადა თამაზ მეჭიაურმა.



**ნიუსპრესი**



# ახალშობილები წუთში 40-60-ჯერ სუნთქავენ

ბავშვის სასუნთქი ორგანოები მნიშვნელოვნად განსხვავდება ზრდასრული ადამიანის სასუნთქი ორგანოებისაგან.

ბავშვის სასუნთქი ორგანოები მცირე ზომისაა და ერთგვარად დაუსრულებელია. ბავშვის ცხვირი პატარაა, მისი ღრუები განუვითარებელი. ცხვირის სავალები ვიწროა. ქვედა ცხვირის სავალი პირველ თვეებში ან სულ არ არის, ან რუდიმენტულადაა განვითარებული. ლორწოვანი გარსი ნაზია, მდიდარია სისხლძარღვებით.

სიცოცხლის პირველ წლებში ლორწოვანქვეშა კავერნული ქსოვილით ღარიბია; 8-9 წლის ასაკში კი უკვე კარგადაა განვითარებული და განსაკუთრებით ბევრია სქესობრივი მომწიფების პერიოდში.

ნორჩი ასაკის ბავშვის ცხვირის დამატებითი ღრუები ძლიერ სუსტადაა განვითარებული ან სულაც არ მოიპოვება. შუბლის სინუსი მხოლოდ მეორე წლის ასაკში ჩნდება. 6 წლის ასაკში აღწევს მუხუდოს მარცვლის ზომას და საბოლოოდ ფორმირდება მხოლოდ 15 წლისათვის. თუმცა ჰაიმორის ღრუ უკვე აქვს ახალშობილს, მაგრამ ის ძალიან პატარაა და 2 წლის ასაკიდან შესამჩნევად დიდდება მოცულობით.

6 წლიდან ცხვირის ღრუ იწყებს სწრაფად ზრდას. ვინაიდან ნორჩი ასაკის ბავშვებს ცხვირის დამატებითი ღრუები სუსტად აქვს განვითარებული, ამიტომ ანთებითი პროცესები ძალიან იშვიათად ვრცელდება ცხვირის ლორწოვანიდან ამ ღრუებზე.

ცხვირ-ცრემლის არხი მოკლეა, მისი გარეთა ხვრელი იმყოფება ქუთუთოს კუთხესთან ახლოს. ეს აადვილებს ინფექციის მოხვედრას ცხვირიდან კონიუქტივის პარკში.ბავშვის ხახა შედარებით ვიწროა და ვერტიკალური მიმართულება აქვს. ხახის პირის გასინჯვისას, ხახის ნუშისებური ჯირკვლები არ ჩანს და მხოლოდ პირველი წლის ბოლოს გამოჩნდება. მომდევნო წლებში, პირიქით, ლიმფოიდური ქსოვილები და ნუშისებრი ჯირკვლები ერთგვარ ჰიპერტროფიას განიცდის და მაქსიმალურ ზომებს 5-10 წლის შუალედში აღწევს. სქესობრივი მომწიფების პერიოდში ნუშისებრი ჯირკვლები უკუგანვითარებას განიცდის და სქესობრივი მომწიფების პერიოდის შემდეგ გადიდებულ ნუშისებურ ჯირკვალს იშვიათად ვხვდებით. ადენოიდების ჭარბი გაზრდა უპირატესად თავს იჩენს ექსუდაციური და ლიმფური დიათეზის მქონე ბავშვებში. მათ ხშირად აღენიშნებათ ცხვირით სუნთქვის მოშლილობა, ცხვირ-ხახის ქრონიკული კატარალური მდგომარეობა, და, აქედან გამომდინარე, ზერელე ძილი.

***

ფილტვების წონა ახალშობილებში დაახლოებით 50 გრამს უდრის

ბავშვის ხორხს ნორჩ ასაკში ძაბრის ფორმა აქვს, უფრო გვიან – ცილინდრული. ის მოთავსებულია ცოტა უფრო მაღლა, ვიდრე დიდებში. მისი ქვედა ბოლო ახალშობილებში კისრის მეოთხე მალის დონეზეა, დიდებში – 1-2 მალით ქვევით. სიცოცხლის პირველ წელს და 14-16 წლის ასაკში ხორხის წინა-უკანა და განივი ზომის უფრო სწრაფი ზრდა აღინიშნება. ნორჩი ასაკის ბავშვს ხორხი შედარებით უფრო გრძელი აქვს პროპორციულად, ვიდრე ზრდადასრულებულ ადამიანს.

ბავშვის ხორხის ხრტილი ნაზია, დამყოლი, ხორხსარქველი 12-13 წლამდე შედარებით ვიწროა. ჩვილ ბავშვებში ჩვეულებრივი გასინჯვის დროს უფრო ადვილად ვახერხებთ მის დანახვას. ბავშვის ყია ვიწროა, ნამდვილი მბგერავი იოგები შედარებით უფრო მოკლეა, მათი ზრდა განსაკუთრებით ინტენსიურია სიცოცხლის პირველი წლის განმავლობაში და სქესობრივი მომწიფების პერიოდის დამდეგს. ცრუ იოგები და ლორწოვანა ნაზია, მდიდარია სისხლძარღვებით და ლიმფოიდური ქსოვილით.



ვაჟებსა და გოგონებს შორის ხორხის სქესობრივი განსხვავება ვლინდება მხოლოდ 3 წლის შემდეგ, როდესაც კუთხე ფარისებრი ხრტილის ფირფიტებს შორის უფრო მახვილი ხდება. 10 წლის შემდეგ ვაჟებში უკვე გარკვეულადაა გამოვლენილი მამაკაცის ხორხისათვის დამახასიათებელი თვისებები.

ხორხის აღნიშნული ანატომიურ-ჰისტოლოგიური თავისებურებებით აიხსნება სტენოზური მოვლენების ადვილად წარმოშობა ბავშვებში, შედარებით ზომიერი ანთებითი მოვლენების დროსაც კი. ხრინწიანი ხმა, რომელიც პატარა ბავშვებს ხშირად ყვირილის შემდეგ აღენიშნებათ, არა ანთებითი მოვლენების, არამედ ყიის კუნთების დაღლილობისაგან მოდუნების შედეგია.

ახალშობილთა ტრაქეა სიგრძით 4 სანტიმეტრამდეა, 14-15 წლისათვის აღწევს დაახლოებით 7 სმ-ს. ზრდასრული ადამიანისა 12 სმ-ს უდრის. პირველი თვეების განმავლობაში მას ოდნავ ძაბრისებური მოყვანილობა აქვს, უფრო მაღლა ძევს, ვიდრე დიდებში. ახალშობილის ტრაქეის ზედა ბოლო კისრის მეოთხე მალის დონეზეა, ხოლო ზრდადასრულებული ადამიანისა – მეშვიდე მალის დონეზე.

ტრაქეის გაყოფა ახალშობილებში შეესაბამება მკერდის მეოთხე-მესამე, 5 წლის ბავშვებში – მეოთხე-მეხუთე, ხოლო 12 წლის ბავშვებში მეხუთე-მეექვსე მალის დონეს. ტრაქეის ზრდა დაახლოებით სხეულის ზრდის პარალელურად მიმდინარეობს. ბავშვების ტრაქეის განივი კვეთი მოგვაგონებს ელიფსს, მომდევნო ასაკში კი – წრეს.

ტრაქეის ლორწოვანა ნაზია, სისხლძარღვებით მდიდარია და ლორწოვანა ჯირკვლების არასაკმარისი სეკრეციის შედეგად შედარებით მშრალია. ტრაქეის კედლის აპკისებრი ნაწილის კუნთოვანი შრე კარგად განვითარებულია სულ პატარა ბავშვებშიც კი. ელასტიური ქსოვილი პატარებში ნაკლებადაა განვითარებული.

ბავშვის ტრაქეა რბილია, ადვილად იზნიქება, ანთებითი პროცესების ზეგავლენით ადვილად ვითარდება სტენოზური მოვლენები. ტრაქეა რამდენადმე მოძრავია და ცალმხრივი დაწოლის (ექსუდატის, სიმსივნის) შედეგად შეიძლება გადაინაცვლოს.

ბრონქები – მარჯვენა ბრონქი თითქოს ტრაქეის გაგრძელებაა, მარცხენა უფრო დიდი კუთხით გამოდის. ამით აიხსნება, რომ უცხო სხეულები ძირითადად ხვდება მარჯვენა ბრონქში. ბრონქები ვიწროა, მათი ხრტილი რბილია, კუნთოვანი და ელასტიური ბოჭკოები სუსტადაა განვითარებული, ლორწოვანი გარსი მდიდარია სისხლძარღვებით, მაგრამ შედარებით მშრალია.

ფილტვების წონა ახალშობილებში დაახლოებით 50 გრამს უდრის, 6 თვის ასაკში ეს წონა ორმაგდება, ერთი წლის ასაკში სამმაგდება და, 12 წლისთვის ათჯერ მეტი ხდება თავდაპირველ წონასთან შედარებით. ზრდასრული ადამიანის ფილტვები ჩვილის ფილტვებზე თითქმის 20-ჯერ მეტს იწონის. როგორც წესი, მარჯვენა ფილტვი უფრო დიდია მარცხენაზე.

# როგორი ეპიდემიოლოგიური მდგომარეობაა საქართველოს საზღვრებთან?

**მარიამ მჭედლიშვილი**

ღორის გრიპის სეზონი გრძელდება. მიღებული ზომების მიუხედავად, ის სერიოზულ პრობლემად რჩება.

ამ დაავადებას ადამიანები ამ სეზონზეც შეეწირნენ არა მარტო საქართველოში.

წელს გრიპთან და გრიპისმაგვარ დაავადებებთან საბრძოლველად საქართველოს ჯანდაცვის უწყებამ სადღეღამისო სამედიცინო ცენტრებიც გახსნა. ამ დაავადებებთან ბრძოლა ანუ სეზონური გრიპის მართვა ხდება როგორც პირველად დონეზე, ისე საავადმყოფოებში.

ჯანდაცვის სამინისტრო ავრცელებს გრიპის მართვის ზოგად რეკომენდაციებსაც, მაგრამ საფრთხე მაინც არსებობს.




საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები რჩება დაავადებების გავრცელების მთავარ წყაროდ. სკოლები და საბავშვო ბაღები მცირეხნიანი დახურვის შემდეგ ისევ გაიხსნა.

ეპიდემიოლოგიურად მძიმე სიტუაციაა საქართველოს მიმდებარე რეგიონებში.

ამ მხრივ განსაკუთრებით რთული მდგომარეობა შეიქმნა მეზობელ სომხეთში, განსაკუთრებით – წინა თვეში. სომხეთში 20 იანვრამდე ღორის გრიპისაგან 18 კაცი დაიღუპა, 890 კი საავადმყოფოში მოხვდა. 6 პაციენტის მდგომარეობა ახლაც უმძიმესია. მათგან ნაწილს ღორის გრიპი დაუდგინდა, ნაწილს კი – პნევმონია.

იანვარში შექმნილი საგანგაშო მდგომარეობის გამო სომხეთის სკოლებსა და ბაღებში ზამთრის არდადეგები 1 თებერვლამდე გაგრძელდა. ამჟამად სწავლა განახლებულია. გამონაკლისს არმავირის ოლქის 10 სკოლა შეადგენს. ეს სასწავლო დაწესებულებები ვერ გაიხსნა იმის გამო, რომ იქ ვერ მოხერხდა ნორმის შესაბამისი ტემპერატურის უზრუნველყოფა.

სომხეთის სხვა სკოლებში ნორმალური ტემპერატურა დაფიქსირდა, მაგრამ იქ მოსწავლეთა დასწრება დაახლოებით 70%-ია. შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით გადაწყდა, რომ გამცდენებს „არებს“ არ დაუწერენ. გარდა ამისა, გაუქმდება საგაზაფხულო არდადეგები და გაკვეთილები შაბათობითაც ჩატარდება.

მიუხედავად რთული სიტუაციისა, სომხეთის ჯანდაცვის სამინისტრომ გააკეთა განცხადება გრიპის ვირუსით დაავადებულთა რაოდენობის შემცირების შესახებ.

დაავადების ზრდის ტემპები მცირდება როსტოვის ოლქშიც. იქ ღორის გრიპისაგან 13 კაცი გარდაიცვალა. ღორის გრიპითა და პნევმონიით დაავადებული უამრავი ადამიანი მოხვდა სტაციონარში, მათ შორის 221 ბავშვი და 9 ორსული.

ადიღეაში გრიპისა და მწვავე რესპირატორული დაავადებების ეპიდემზღვარი 61%-ით გაიზარდა. 25 იანვარს იქ კარანტინი გამოცხადდა და ყველა სკოლა და ბაგა-ბაღი დაიხურა, ასევე გადაიდო ყველა მასობრივი ღონისძიება. კარანტინი 3 თებერვალს დასრულდა, თუმცა სასწავლო დაწესებულებები ნახევრად ცარიელია.

უცხოური პრესის თანახმად, ღორის გრიპის ვირუსმა, რომელმაც პირველად 7 წლის წინ იჩინა თავი, მუტაცია განიცადა. ჯანმრთელ ადამიანს მისი არ უნდა ეშინოდეს. პანდემიისაგან დაცვის უნივერსალური გარანტია არ არსებობს, თუმცა არსებობს დაავადებებთან ეფექტური ბრძოლის პრაქტიკა, მაგალითად, ატიპიური პნევმონია თავის დროზე შეაჩერა ჩინეთის ხელისუფლების მიერ მიღებულმა ზომებმა, მათ შორის კარანტინმა და საერთაშორისო რეისების გადადებამ.

# რა არის ჯიბლიბო



ჯიბლიბო ვითარდება ქუთუთოს კიდეზე არსებული თმის ფოლიკულის, ან ცხიმოვანი ჯირკვლის ანთების შედეგად.

იგი ვითარდება ბაქტერიული ფროლით ინფიცირების შედეგად. ჯიბლიბო არ არის გადამდები და სტატისტიკით ქალები უფრო ხშირად ავადდებიან, ვიდრე მამაკაცები. რაც აიხსნება კოსმეტიკური საშუალებების გამოყენებით. დაავადების განვითარებას ხელს უწყობს ორგანიზმის იმუნიტეტის დაქვეითება და ქრონიკული დაავადებები.

ჯიბლიბოს საწყის სტადიაზე ახასიათებს ქუთუთოს კიდის ქავილი, შემდეგ – მცირე ზომის შესიება, ხოლო 2-4 დღის შემდეგ მის მწვერვალზე ჩნდება მოყვითალო თავი, რომლის შიგთავსი ჩირქოვანი მასით არის სავსე.

ჩირქის თვითნებურ გამოდევნას ხშირად რეგიონალურ სისხლძარღვოვან სისტემაში ინფექციის გავრცელებამდე მივყავართ.

ჯიბლიბოს დიაგნოზის დასმის შემდეგ უნდა შეწყდეს ყველანაირი კოსმეტიკური საშუალებების გამოყენება. საწყის სტადიაზე შესაძლებელია მისი სპირტით, ან ბრილიანტის მწვანით დამუშავება. სამკურნალოდ გამოიყენება ადგილობრივი ანტიბიოტიკები თვალის წვეთების ან მალამოს სახით.

# მუხის ქერქის ნახარში შემკვრელია



მუხა – წიფლისებრთა ოჯახის წარმომადგენელი ფოთლოვანი ხეა. იგი ყვავილობას იწყებს 30-40 წლის შემდეგ, ცოცხლობს 400-500 წელი, ზოგიერთი მათგანი 1000-1500 წელიწადი და აღწევენ დიამეტრით 4 მ-მდე. ყვავილობს აპრილის ბოლოს – მაისის დასაწყისში, ნაყოფი შემოდის სექტემბერ-ოქტომბერში. მუხა საქართველოს ტყეებში ფართოდაა გავრცელებული, როგორც ფართოფოთლოვან, ისე შერეულ ტყეებში, ქმნის მუხნარებს. იგი სითბოსა და სინათლის მოყვარული მცენარეა. პირველ წლებში იზრდება ძალიან ნელა, 10 წლის მუხა სიმაღლით მხოლოდ 1 მ-მდეა.

აგროვებენ მუხის ქერქს აპრილიდან ივნისამდე, როდესაც უჯრედის წვენი ინტენსიურად მოძრაობს. გლუვი ქერქის მოსახსნელად წვრილ ღეროებზე დანით აკეთებენ ღრმა წრიულ ნაჭდევს ერთმანეთისგან 30 სმ დაშორებით. შემდეგ მათ აერთებენ ღრმა გრძივი ნაჭდევებით, შემდეგ აცლიან ქერქს ღარაკის ან მილის სახით. ნედლეულს, თხელ ფენად გაშლილს ქაღალდზე ან ქსოვილზე.

აშრობენ ფარდულებში, ან სხვენებზე, რომლებიც კარგნად ნიავდება. ამასთან, ყოველდღიურად აბრუნებენ. გამშრალი ქერქი ხმაურით უნდა ტყდებოდეს. ინახავენ მშრალ ადგილებში ხუთი წლის განმავლობაში.მუხის ქერქის ნაყენები გამოიყენება როგორც შემკვრელი, ანთების საწინააღმდეგო საშუალება, პირის ღრუში და ყელში გამოსავლებად სტომატიტების, გინვინიტების, ფარინგიტების დროს. განსაკუთრებით ეფექტურია მუხის ქერქის ნახარში (1:10). ამისათვის 20 გრამი (2 სუფრის კოვზი) დაქუცმაცებული ნედლეული მოათავსეთ მომინანქრებულ ჭურჭელში, დაასხით 200 მლ (1 ჩაის ჭიქა) ცხელი წყალი, დახურეთ თავსახური და გააცხელეთ მდუღარე წყლის აბაზანაში 30 წუთის განმავლობაში, გააცივეთ 10 წუთი, გადაწურეთ. მიღებული ნახარში გააზავეთ ანადუღარი წყლით საწყისი მოცულობის (200 მლ) მიღებამდე.

ნახარში გამოიყენება ღრძილებისა და პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ანთების დროს გამოსავლებად 6-8-ჯერ დღეში. ასეთივე კონცენტრაციის ნახარში გამოიყენება კუჭის აშლილობის, კუჭ-ნაწლავიდან სისხლის დენის, ნაწლავების ქრონიკული ანთების დროს. დალიეთ 1/2 ჭიქა 3-ჯერ დღეში ჭამის წინ.

ზოგჯერ ნაყენს ამზადებენ შემდეგნაირად: 1 ჩაის კოვზ დაქუცმაცებულ ნედლეულს ასხამენ 2 ჩაის ჭიქა ცივ წყალს, აჩერებენ 6 საათის განმავლობაში, მიიღებენ 1/2 ჭიქას 3-4-ჯერ დღეში, ჭამის წინ.

# თუ კბილი გტკივათ



კბილის ტკივილის დროს ყოველთვის არ არის საშუალება მივმართოთ სტომატოლოგს. მოგაწვდით რჩევებს, თუ როგორ დაიამოთ კბილის ტკივილი სახლის პირობებში:

– აიღეთ ღორის ქონის (შეიძლება როგორც ახალი, ასევე დამარილებული, ოღონდ მარილი მოაცილეთ) ნაჭერი და დაიდეთ ღრძილზე მტკივანი კბილის ქვეშ. 15-20 წუთში ტკივილი გაქრება და საკმაო ხნითაც.

– თუ ოჯახში გაქვთ სალბი („შალფეი“), მოამზადეთ მისი ნაყენი და თბილივე ჩაიგუბეთ პირში მტკივანი კბილის მხარეს. პროცესი გაიმეორეთ რამდენჯერმე და კბილის ტკივილიც გაქრება.

– მტკივანი კბილის მხარეს, ყურში ჩაიდეთ კარგად გარეცხილი მრავალძარღვას ძირი და გაიჩერეთ ტკივილის გაქრობამდე.

– ავადმყოფს ხელზე, მაჯის შიგნითა მხრიდან უსვამენ დანაყილ ნიორს, შემდეგ ნიორს ადებენ იმ ადგილას, სადაც ისმის პულსაცია და მაგრად უკრავენ ბინტით. თუ კბილი მტკივნეულია მარჯვენა მხარეს, ნიორს მარცხენა ხელის მაჯაზე ადებენ და პირიქით.

– ასისთავას ანუ მარნისის ფოთლის წყალი იხმარება ღრძილებიდან სისხლდენის დროს, პირში გამოსავლებად.

– ასკილის თესლი იხმარებოდა ღრძილებიდან სისხლდენის შესაჩერებლად: „ვინცა ასკილის თესლი დანაყოს და დასისხლიანებულს კბილსა და ღრძილზედა დაიდვას, სისხლი დასწყუიტოს და გაუმრთელოს“.

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

# ობამა: „ქრისტიანული რწმენა ჩემთვის დიდი სტიმულია“



აშშ-ის პრეზიდენტმა ობამამ განაცხადა, რომ ქრისტიანული რწმენა შიშის დაძლევისათვის საუკეთესო სტიმულია.

პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ ადამიანში ბუნებრივად ჩნდება შიშის გრძნობა იმ პრობლემების გამო, რომელთა წინაშეც ის აღმოჩნდება.

— სამწუხაროდ, ჩვენს დროში პრობლემები ხშირია, — თქვა პრეზიდენტმა.

მან დაამატა, რომ შიშით შეპყრობილ ადამიანს ახასიათებს აგრესიის გრძნობა იმ პიროვნების მიმართ, რომელიც მისგან განსხვავებულია ან მის მიერ შემუშავებულ ჩარჩოებში არ ჯდება. შიშით შეპყრობილი ადამიანი ხდება ცინიკოსი, კონფორმისტი. მას შეუძლია, პირადი გამორჩენის გამო ვიღაც დააბეზღოს და ა.შ.

— რწმენა შიშის დაძლევის საუკეთესო საშუალებაა! ჩემთვის, როგორც ქრისტიანისათვის, ასეთი სტიმული ქრისტიანული რწმენაა, — აცხადებს ობამა.

# პოლონეთის პრეზიდენტის თვითმფრინავის კატასტროფის ამბებს ხელახლა გამოიძიებენ



პოლონეთის თავდაცვის მინისტრმა ანტონ მაჩერევიჩმა განაცხადა, რომ პრეზიდენტ კაჩინსკის დაღუპვასთან დაკავშირებით ბევრი კითხვის ნიშანი დარჩა.

მიჩქმალულია რიგი ფაქტებისა, რაც რუსეთის პასუხისმგებლობაზე მიუთითებს.

— ჩვენ ხელახალ გამოძიებას ჩავატარებთ, — თქვა მაჩერევიჩმა.

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი“.

# ევროპარლამენტმა ყირიმთან დაკავშირებით ისტორიული რეზოლუცია მიიღო

ევროპარლამენტმა ხმების აბსოლუტური უმრავლესობით ისტორიული რეზოლუცია მიიღო.

მასში ნათქვამია, რომ რუსეთისთვის სანქციების მოხსნა პირდაპირაა დაკავშირებული ყირიმის დეოკუპაციასა და მისი უკრაინის შემადგენლობაში დაბრუნების პროცესთან.

ევროპარლამენტარები გამოდიან მოლაპარაკებების ახალი ფორმატის (ჟენევა პლუს) შემოღების თაობაზე, როცა რუსეთს, უკრაინასა და ევროკავშირს შორის ყირიმის დეოკუპაციის შესახებ მოლაპარაკებები დაიწყება.

— ესაა ისტორიული რეზოლუცია! ამას ნამდვილად არ მოველოდი, — განაცხადა უკრაინის უმაღლესი რადის დეპუტატმა არიევმა.

უკრაინის რადიკალური პარტიის ლიდერი ოლეგ ლიაშკო მიიჩნევს, რომ ევროპარლამენტის მიერ ხსენებული რეზოლუციის მიღება უდიდესი მოვლენაა, თუმცა ამის გამო ეიფორიაში ჩავარდნა არ ღირს.

— ყირიმის დაბრუნება მოხდება არა რეზოლუციების, არამედ უკრაინული სახელმწიფოს, უკრაინული არმიისა და ყირიმელი თათრების ძალისხმევის ხარჯზე. საამოდ კი ძლიერი სახელმწიფო უნდა ავაშენოთ! — თქვა ლიაშკომ.

თავად მოსკოვში ევროპარლამენტის რეზოლუციაზე კომენტარი ჯერ არ გაუკეთებიათ. ყირიმის საოკუპაციო ხელისუფლების მეთაურმა აქსიონოვმა კი განაცხადა:

— ყირიმი რუსეთია! ვერავითარი ევროპარლამენტი მის უკრაინის შემადგენლობაში დაბრუნებას ვერ უზრუნველყოფს!

# უკრაინაში ნატოს წარმომადგენლობა გაიხსნება




უკრაინის უმაღლესმა რადამ მხარი დაუჭირა ქვეყანაში ნატოს წარმომადგენლობის გახსნას.

აღნიშნული წარმომადგენლობა მანამდეც არსებობდა. პრეზიდენტ იანუკოვიჩის მმართველობისას ის დახურეს.

პრორუსული ლობი ახლაც ცდილობდა, კენჭისყრა ჩაეგდო. პატრიოტულმა ძალებმა ვიცესპიკერ ანდრეი პარუბიის მხარდაჭერით ეს წინააღმდეგობა დაძლიეს.

რამდენიმე ცდის შემდეგ ტაბლოზე გადაწყვეტილების მიღებისთვის აუცილებელი ციფრები აინთო. ნატოს წარმომადგენლობაც უკრაინაში კვლავ გაიხსნება.

# ტაჯიკეთის პრეზიდენტს შეუძლია, პოსტზე სიცოცხლის ბოლომდე დარჩეს



ტაჯიკეთის კონსტიტუციურმა სასამართლომ მხარი დაუჭირა შესწორებას კონსტიტუციაში, რომლის ძალითაც პრეზიდენტ ემომალ რაჰმონს ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე შეუძლია, პრეზიდენტის პოსტზე კენჭი იყაროს.

თავად რაჰმონმა ტელეინტერვიუში ნახევრად ხუმრობით განაცხადა:

— პრეზიდენტის პოსტზე შემიძლია, სიცოცხლის ბოლომდე დავრჩე. ახლა ამის უფლებას უკვე კონსტიტუცია მაძლევს.

მიღებულ იქნა მეორე შესწორებაც, რომლის ძალითაც პრეზიდენტისთვის ასაკობრივი ცენზი შემცირდა. თუკი მანამდე ტაჯიკეთის პრეზიდენტი 35 წლის უნდა ყოფილიყო, ახლა 30 წლის ყმაწვილიც კი შეიძლება პრეზიდენტი გახდეს:

— 2020 წლისათვის რაჰმონის ვაჟი, რუსტამი, 30 წლის შესრულდება. რაჰმონს სურს, შვილი მისი შემცვლელი გახდეს, — იტყობინება „დოიჩე ველე“.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

**განცხადებები**

**მკურნალობა**

● გასახდომი ყავა!!! ხარისძირას სპეციალური ჯიშით გამდიდრებულ 3-კომპონენტიან ანტილიპიდურ კუპაჟს გააჩნია ანტიდიაბეტური თვისებები!!! მის: თამარ მეფის 27 (რკ.სადგურთან). ტელ: 577-52-88-41.

● მხოლოდ აქ! თამარ მეფის 27-ში. „პლანტა“ — ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზურიც!); „პლანტა-გლანდა“ — ჩირქოვანი გლანდები, ხვრინვა, გრიპის პროფილაქტიკა; „პლანტა+“ — მასტოპათია (კვანძები!), პოლიკისტოზი, ფიბრომა, უნაყოფობა; „პლანტა-7“ — წყლული, ჰეპატიტი, პროსტატიტი, ადენომა, პოტენცია. ზემოთ აღნიშნულ სერთიფიცირებულ სიროფებს გააჩნიათ ანტისიმსივნური თვისებები! ტელ: 558-59-59-82.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით — სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● დაქვეითებული სმენის — ნევრიტის, ოტიტის, ოსტეოქონდროზის, კიდურების, კუნთების, სახსრების დაავადებების, რადიკულიტის, პროსტატიტის, ცისტიტის, ხშირი შარდვის, მასტიტის, საკვერცხეების ანთების, წითელი ქარის განკურნება უნიკალური ენერგეტიკული მეთოდით, ასაკის მიუხედავად. ეს ნამდვილია პრაქტიკულად გამოცდილი. მის.: აღმაშენებლის 93. პოლიკლინიკა. ტელ: 599-97-85-46 ლევანი - სერტიფიცირებული სახალხო მკურნალი.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

**ქირავდება**

● ქირავდება 3 ოთახიანი ბინა ცოტნე დადიანზე, მიშენებით, ევრორემონტით, ავეჯით, ტექნიკით, გარაჟით, სათავსოებით. ფასი 300. ტელ.599512607. 577779704.

● ქირავდება 18 კვადრატული მეტრის კომერციული ფართი მეტრო „ახმეტელთან“, ხიზანიშვილის 29-ის უკანა მხარეს, ბაზარში შესასვლელ გზაზე, II სართულზე, სველი წერტილებით, ატმორით. გამოდგება საოფისედ, სამედიცინო კაბინეტად. საარჩევნო შტაბებისთვის შეიძლება პირველი სართულის მიმატებაც. ტელ: 591-68-90-20; 599-94-51-82.

**წვერსაპარსი PHILIPS + საჩუქარი ტრიმერი**
**50 ლარი 90-ის ნაცვლად**



✓ მოძრავი პირები, რომლებიც იმეორებს თქვენი სახის კონტურს;
✓ მოქნილი ერგონომიკა ოპტიმალური ხმარებისთვის;
✓ სამუშაო ძაბვა 220 ვტ;
✓ გასაწმენდი ჯაგრისი;
✓ აკუმულატორი;
✓ მოჰყვება დამტენი;
✓ დატენვის ინდიკატორი;
✓ ბაკების გასასწორებელი;
✓ ორმაგი უჟანგავი რკინის პირი;
✓ მუშაობს შიდა აკუმულატორზე;
✓ ტრიმერი ბაკების და ულვაშების გასასწორებლად;



**სმენის აპარატი 45 ლარად 90 ლარის ნაცვლად**

1.ხმის გაძლიერება 50დБ.–120
2.ხმის რეგულირება.
3.ერგება ორივე ყურზე.
4.პატარა,მსუბუქი,შეუმჩნეველი.
5.კომპლექტშია:მოწყობილობა 1 ც
რბილი რეზინები ყურებისთვის 3ც.
ელემენტები LR41 –
ჩასადები ყუთი,ინსტრუქცია.



**შეიძინეთ Mozer-1800 – პროფესიონალი გერმანული თმის საკრეჭი!**
**50 ლარად 95 ლარის ნაცვლად**




MADE IN GERMANY

ძრავი: 6 000 ბრ/წთ
ხმაურის დაბალი დონე;
საწმენდი ჯაგრისი, დანების ზეთი;
ხუთი საკრეჭი თავი
მასალა - უჟანგავი ფოლადი.

მაღაზია Stop&Shop
დარეკეთ წინასწარ! ☎: 2-182-186.
მის: ვაჟა-ფშაველას №79.
579 885 996

სერტიფიცირებული კოსმეტოლოგი მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# ინგლისში ლიდერთა ტურია

## სტატისტიკა, ფსონები

მომავალ უქმეებზე საინტერესო ტურია ინგლისში. ჩემპიონატის აღმოჩენა ლესტერი, რომელიც პრემიერლიგას ლიდერობს, მანჩესტერს ესტუმრება და მეორეადგილოსან სიტის ეთამაშება. მეორე მანჩესტერული კლუბი, იუნაიტედი კი ლონდონში ჩავა და ჩელსის გაეჯიბრება. ეს მატჩები ყველას გადაფარავს...

ორი საინტერესო მატჩი გერმანიაშიც არის. ლევერკუზენი-ბაიერნი და შალკე-ვოლფსბურგი. ამ შეხვედრებს შეუძლია გავლენა იქონიოს ევროტურნირების საგზურებზე.

ესპანეთში სელტა-სევილიაა. ვიგოელებმა ამ სეზონში სენსაციები შემოგვთავაზეს და სატურნირო ცხრილშიც კარგად არიან, მუდმივად ევროთასებზე მოთამაშე სევილია კი მას ამ ადგილის წართმევას შეეცდება.

საფრანგეთში მარსელი-პსჟ შეერკინებიან. მართალია, პარიზელები დიდი უპირატესობით იგებენ ჩემპიონატს, მაგრამ ამ გუნდების მატჩი ყოველთვის საინტერესოა.



### ინგლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| 06.02 სიტი-ლესტერი | 1.57 | 4.0 | 6.0 |
| 06.02 ტოტენჰემი-უოტფორდი | 1.44 | 4.2 | 7.5 |
| 06.02 ლივერპული-სანდერლენდი | 1.4 | 4.5 | 8.0 |
| 06.02 სტოკი-ევერტონი | 2.62 | 3.1 | 2.8 |
| 06.02 ნიუკასლი-ვესტ ბრომვიჩი | 2.05 | 3.3 | 3.75 |
| 06.02 სუონსი-კრ.პალასი | 2.3 | 3.2 | 3.2 |
| 06.02 ასტონ ვილა-ნორვიჩი | 2.4 | 3.1 | 3.1 |
| 06.02 საუთჰემპტონი-ვესტ ჰემი | 1.67 | 3.6 | 5.5 |
| 07.02 ბორნმუთი-არსენალი | 3.6 | 3.4 | 2.05 |
| 07.02 ჩელსი-მანჩესტერი | 2.1 | 3.1 | 3.8 |

**სიტი-ლესტერი**

სიტი: ***ტრავმ***-ვილფრედ ბონი, ელაქუიმ მანგალა, ფაბიან დელფი, ხესუს ნავასი, კევინ დე ბრუინი, სამირ ნასრი, ვინსენტ კომპანი

ლესტერი: ***ტრავმ***-ჯეფრი შლუპი

**ტოტენჰემი-უოტფორდი**

ტოტენჰემი: ***ტრავმ***-დელე ალი, რაიან მასონი, იან ვერტოგენი, კლინტონ მუა ნჯიე

უოტფორდი: ***ტრავმ***-არავინ

**ლივერპული-სანდერლენდი**

ლივერპული: ***ტრავმ***-ჯორდან როსიტერი, ჯოზეფ გომესი, დანი ინგსი, ფილიპე კოუტინიუ, დივოკ ორიჯი, მარტინ შკრტელი, დანიელ სტარიჯი

სანდერლენდი: ***ტრავმ***-იუნის ქაბული, სებასტიან ლარსონი, ადამ მატეუსი

**სტოკი-ევერტონი**

სტოკი: ***ტრავმ***-მარკ უილსონი, ფილიპ ვოლშეიდი, რაიან შოუკროსი, ჩარლი ადამი, ჯეფ კამერონი

ევერტონი: ***ტრავმ***-ტიმ ჰოვარდი, კევინ მირალესი, მუჰამედ ბესიჩი, ტიას ბრაუნინგი

**ნიუკასლი-ვესტ ბრომვიჩი**

ნიუკასლი: ***ტრავმ***-ტიმ კრული, მასადიო ჰაიდარა, გაბრიელ ობერტანი

ვესტ ბრომვიჩი: ***ტრავმ***-ჯონათან ევანსი, ჯეიმს მორისონი, კალუმ მაკმანამანი, კრის ბრუნტი

**სუონსი-კრ.პალასი**

სუონსი: ***ტრავმ***-კი სუნგ-იეუნგი

კრ.პალასი: ***ტრავმ***-იანიკ ბოლასიე, ჯოე ლედლი, გუაიტ გაილი, იოან კაბაიე

**ასტონ ვილა-ნორვიჩი**

ასტონ ვილა: ***ტრავმ***-რუდი გესტედე, კარლოს სანჩესი, ჯორდან აიევი, ალან ჰატონი, ეშლი ვესტვუდი, ლიბორ კოზაკი, ჯორდან ამავი, ადამა ტრაორე

ნორვიჩი: ***ტრავმ***-ალექსანდერ ტეტეი, გრაჰან დორანსი, რობერტ ბრედი

**საუთჰემპტონი-ვესტ ჰემი**

საუთჰემპტონი: ***ტრავმ***-კელვინ დავისი, ჯეი როდრიგესი

ვესტ ჰემი: ***ტრავმ***-ანჯელო ოგბონა, დიაფრა სახო, მანუელ ლანძინი, ენდი კეროლი

**ბორნმუთი-არსენალი**

ბორნმუთი: ***ტრავმ***-ჯუნიორ სტანისლასი, ტოკელო რანტიე, კალუმ უილსონი, ტაირონ მინგსი, მაქს გრადელი

არსენალი: ***ტრავმ***-ტომაშ როსიცკი, სანტი კაზორლა, ჯეკ უილშირი

**ჩელსი-მანჩესტერი**

ჩელსი: ***ტრავმ***-რადამელ ფალკაო, ლოიკ რემი

მანჩესტერი: ***ტრავმ***-ლუკ შოუ, ეშლი იანგი, ანტონიო ვალენსია, მარკოს როხო, ბასტიან შვაინშტაიგერი, ფილ ჯოუნსი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.ლესტერი | 24 | 14 | 8 | 2 | 44-26 | 50 |
| 2.სიტი | 24 | 14 | 5 | 5 | 46-23 | 47 |
| 3.ტოტენჰემი | 24 | 12 | 9 | 3 | 44-19 | 45 |
| 4.არსენალი | 24 | 13 | 6 | 5 | 37-22 | 45 |
| 5.მანჩესტერი | 24 | 11 | 7 | 6 | 31-21 | 40 |
| 6.ვესტ ჰემი | 24 | 10 | 9 | 5 | 38-28 | 39 |
| 7.საუთჰემპტონი | 24 | 9 | 7 | 8 | 32-24 | 34 |
| 8.ლივერპული | 24 | 9 | 7 | 8 | 30-34 | 34 |
| 9.უოტფორდი | 24 | 9 | 6 | 9 | 27-26 | 33 |
| 10.სტოკი | 24 | 9 | 6 | 9 | 24-28 | 33 |
| 11.ევერტონი | 24 | 7 | 11 | 6 | 43-34 | 32 |
| 12.კრ.პალასი | 24 | 9 | 4 | 11 | 25-29 | 31 |
| 13.ჩელსი | 24 | 7 | 8 | 9 | 32-34 | 29 |
| 14.ვესტ ბრომვიჩი | 24 | 7 | 8 | 9 | 23-31 | 29 |
| 15.ბორნმუთი | 24 | 7 | 7 | 10 | 29-39 | 28 |
| 16.სუონსი | 24 | 6 | 8 | 10 | 23-32 | 26 |
| 17.ნორვიჩი | 24 | 6 | 5 | 13 | 28-46 | 23 |
| 18.ნიუკასლი | 24 | 5 | 6 | 13 | 25-44 | 21 |
| 19.სანდერლენდი | 24 | 5 | 4 | 15 | 28-47 | 19 |
| 20.ასტონ ვილა | 24 | 2 | 7 | 15 | 18-40 | 13 |

### ესპანეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 06.02 ატლეტიკო-ეიბარი | 1.4 | 4.33 | 8.5 |
| 06.02 რაიო-ლას პალმასი | 1.95 | 3.5 | 3.8 |
| 06.02 ბილბაო-ვილიარეალი | 1.8 | 3.5 | 4.5 |
| 06.02 ხიხონი-დეპორტივო | 2.5 | 3.2 | 2.9 |
| 07.02 ლევანტე-ბარსელონა | 15.0 | 7.0 | 1.17 |
| 07.02 ბეტისი-ვალენსია | 2.5 | 3.2 | 2.9 |
| 07.02 სელტა-სევილია | 2.9 | 3.4 | 2.37 |
| 07.02 გრანადა-რეალი | 9.5 | 5.5 | 1.28 |
| 08.02 ესპანიოლი-სოსიედადი | 2.6 | 3.2 | 2.75 |

**ატლეტიკო-ეიბარი**

ატლეტიკო: ***ტრავმ***-დიეგო გოდინი, ფილიპე ლუისი, სტეფან სავიჩი, დიეგო გოდინი, ხუანფრანი, აუგუსტო ფერნანდესი, ტიაგო

ეიბარი: ***ტრავმ***-ალექსანდერ პანტიჩი, ივან რამისი, ანტონიო ლუნა

**რაიო-ლას პალმასი**

რაიო: ***ტრავმ***-ადრი ემბარბა, ტონო, რაზვან რაცი, პატრიკ ებერტი

ლას პალმასი: ***ტრავმ***-ანგელ მონტორო, ხოსე ვისენტე გომესი, ჰერმანი, ხავი კასტელანო

**ბილბაო-ვილიარეალი**

ბილბაო: ***ტრავმ***-იბაი გომესი, რაულ გარსია; ***დისკვ***-ოსკარ დე მარკოსი

ვილიარეალი: ***ტრავმ***-ერიკ ბეილი, სამუ

**ხიხონი-დეპორტივო**

ხიხონი: ***ტრავმ***-ბერნარდო ესპინოზა

დეპორტივო: ***ტრავმ***-არავინ

**ლევანტე-ბარსელონა**

ლევანტე: ***ტრავმ***-ხუანფრანი, პედრო ლოპესი, რუბენ გარსია, ხოსე მარი, ვიქტორ კასადესუსი

ბარსელონა: ***ტრავმ***-რაფინია

**ბეტისი-ვალენსია**

ბეტისი: ***ტრავმ***-ფაბიან რუისი, ფუედ კადირი, კრისტიანო პაცინი; ***დისკვ***-ალვარო გეჯუდო

ვალენსია: ***ტრავმ***-პაკო ალკასერი

**სელტა-სევილია**

სელტა: ***ტრავმ***-ენდრიუ ფონტასი; ***დისკვ***-ფაბიან ორელანა, უგო მალო

სევილია: ***ტრავმ***-გრეგოჟ კრიშოვიაკი, მარკო ანდრეოლი

**გრანადა-რეალი**

გრანადა: ***ტრავმ***-სალვა რუისი, ედგარი

რეალი: ***ტრავმ***-პეპე, გარეთ ბეილი

**ესპანიოლი-სოსიედადი**

ესპანიოლი: ***ტრავმ***-ანაიტც არბილია

სოსიედადი: ***ტრავმ***-კარლოს მარტინესი, იმანოლ აგირეჩე, სერხიო კანალესი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 21 | 16 | 3 | 2 | 54-17 | 51 |
| 2.ატლეტიკო | 22 | 15 | 3 | 4 | 31-10 | 48 |
| 3.რეალი | 22 | 14 | 5 | 3 | 64-20 | 47 |
| 4.ვილიარეალი | 22 | 13 | 5 | 4 | 29-18 | 44 |
| 5.სევილია | 22 | 10 | 6 | 6 | 31-23 | 36 |
| 6.ბილბაო | 22 | 10 | 4 | 8 | 33-30 | 34 |
| 7.სელტა | 22 | 10 | 4 | 8 | 33-35 | 34 |
| 8.ეიბარი | 22 | 9 | 6 | 7 | 35-28 | 33 |
| 9.დეპორტივო | 22 | 6 | 12 | 4 | 30-27 | 30 |
| 10.მალაგა | 22 | 7 | 6 | 9 | 18-20 | 27 |
| 11.ხეტაფე | 22 | 7 | 5 | 10 | 26-32 | 26 |
| 12.ვალენსია | 22 | 5 | 10 | 7 | 26-23 | 25 |
| 13.სოსიედადი | 22 | 6 | 6 | 10 | 26-34 | 24 |
| 14.ბეტისი | 22 | 5 | 7 | 10 | 15-31 | 22 |
| 15.ესპანიოლი | 22 | 6 | 4 | 12 | 20-41 | 22 |
| 16.ლას პალმასი | 22 | 5 | 6 | 11 | 23-34 | 21 |
| 17.ხიხონი | 21 | 6 | 3 | 12 | 23-35 | 21 |
| 18.რაიო | 22 | 5 | 5 | 12 | 28-47 | 20 |
| 19.გრანადა | 22 | 5 | 5 | 12 | 24-44 | 20 |
| 20.ლევანტე | 22 | 4 | 5 | 13 | 21-41 | 17 |

### გერმანია

| | | | |
|---|---|---|---|
| 06.02 აინტრახტი-შტუტგარტი | 2.5 | 3.6 | 2.6 |
| 06.02 შალკე-ვოლფსბურგი | 2.4 | 3.6 | 2.75 |
| 06.02 ინგოლშტადი-აუგსბურგი | 2.45 | 3.0 | 3.1 |
| 06.02 ჰანოვერი-მაინცი | 2.62 | 3.4 | 2.6 |
| 06.02 ჰერტა-დორტმუნდი | 6.5 | 4.2 | 1.5 |
| 06.02 ლევერკუზენი-ბაიერნი | 5.0 | 4.0 | 1.65 |
| 07.02 ჰამბურგი-კიოლნი | 2.5 | 3.2 | 2.9 |
| 07.02 ჰოფენჰაიმი-დარმშტადი | 2.0 | 3.4 | 3.8 |

**აინტრახტი-შტუტგარტი**

აინტრახტი: ***ტრავმ***-შტეფან რეინალტცი, იოანეს ფლუმი, ლუკ კასტაიგნოსი

შტუტგარტი: ***ტრავმ***-მარტინ ჰანრიკი, დანიელ გინსეკი

**შალკე-ვოლფსბურგი**

შალკე: ***ტრავმ***-ფრანკო დი სანტო, დენის აოგო, ბენედიკტ ჰოივედესი, მატია ნასტასიჩი

ვოლფსბურგი: ***ტრავმ***-მაქსიმილიან არნოლდი, ბას დოსტი

**ინგოლშტადი-აუგსბურგი**

ინგოლშტადი: ***ტრავმ***-ტობიას ლეველსი, ტომას პეხარტი

აუგსბურგი: ***ტრავმ***-იან-ინჯვერ კალსენ-ბრაკერი, ტობიას ვერნერი

**ჰანოვერი-მაინცი**

ჰანოვერი: ***ტრავმ***-ფელიპე, ფელიქს კლაუსი, ოლივერ სორგი, ჩარლისონ ბენშოპი, ლეონ ანდრეასენი, ჰიროში კიოტაკე

მაინცი: ***ტრავმ***-არავინ

**ჰერტა-დორტმუნდი**

ჰერტა: ***ტრავმ***-როი ბეერენსი, ტომას კრაფტი, იანი რეგასელი, ვალენტინ სტოკერი, რონი, თოლგა

დორტმუნდი: ***ტრავმ***-სვენ ბენდერი

**ლევერკუზენი-ბაიერნი**

ლევერკუზენი: ***ტრავმ***-ლარს ბენდერი

ბაიერნი: ***ტრავმ***-ჟერომ ბოატენგი, რაფინია, ფრანკ რიბერი, მეჰდი ბენათია, მარიო გიოტცე

**ჰამბურგი-კიოლნი**

ჰამბურგი: ***ტრავმ***-ივიცა ოლიჩი, ემირ სპაჰიჩი, ანდრეას ჰირცელი, ნიკოლაი მიულერი, ალბინ ეკდალი

კიოლნი: ***ტრავმ***-არავინ

**ჰოფენჰაიმი-დარმშტადი**

ჰოფენჰაიმი: ***ტრავმ***-ეუგენ პოლანსკი, პირმინ შვეგლერი

დარმშტადი: ***ტრავმ***-არავინ

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 19 | 17 | 1 | 1 | 50-9 | 52 |
| 2.დორტმუნდი | 19 | 14 | 2 | 3 | 52-24 | 44 |
| 3.ჰერტა | 19 | 10 | 4 | 5 | 29-21 | 34 |
| 4.ლევერკუზენი | 19 | 9 | 4 | 6 | 29-21 | 31 |
| 5.შალკე | 19 | 9 | 3 | 7 | 26-26 | 30 |
| 6.გლადბახი | 19 | 9 | 2 | 8 | 35-34 | 29 |
| 7.ვოლფსბურგი | 19 | 7 | 6 | 6 | 29-25 | 27 |
| 8.მაინცი | 19 | 8 | 3 | 8 | 24-24 | 27 |
| 9.კიოლნი | 19 | 6 | 7 | 6 | 20-25 | 25 |
| 10.ინგოლშტადტი | 19 | 6 | 5 | 8 | 12-20 | 23 |
| 11.ჰამბურგი | 19 | 6 | 4 | 9 | 21-27 | 22 |
| 12.აუგსბურგი | 19 | 5 | 6 | 8 | 21-26 | 21 |
| 13.აინტრახტი | 19 | 5 | 6 | 8 | 24-30 | 21 |
| 14.დარმშტადტი | 19 | 5 | 6 | 8 | 19-29 | 21 |
| 15.შტუტგარტი | 19 | 6 | 3 | 10 | 27-39 | 21 |
| 16.ვერდერი | 19 | 5 | 4 | 10 | 23-36 | 19 |
| 17.ჰოფენჰაიმი | 19 | 2 | 8 | 9 | 18-28 | 14 |
| 18.ჰანოვერი | 19 | 4 | 2 | 13 | 19-34 | 14 |

### იტალია

| | | | |
|---|---|---|---|
| 06.02 ბოლონია-ფიორენტინა | 3.5 | 3.1 | 2.2 |
| 06.02 ჯენოა-ლაციო | 2.6 | 3.1 | 2.62 |
| 07.02 ვერონა-ინტერი | 4.33 | 3.5 | 1.75 |
| 07.02 მილანი-უდინეზე | 1.44 | 4.33 | 7.0 |
| 07.02 ტორინო-კიევო | 1.8 | 3.3 | 4.33 |
| 07.02 ნაპოლი-კარპი | 1.15 | 6.5 | 15.0 |
| 07.02 ფროზინონე-იუვენტუსი | 13.0 | 5.5 | 1.25 |
| 07.02 სასუოლო-პალერმო | 1.8 | 3.3 | 4.33 |
| 07.02 ატალანტა-ემპოლი | 2.25 | 3.1 | 3.1 |
| 07.02 რომა-სამპდორია | 1.4 | 4.33 | 7.0 |

**ბოლონია-ფიორენტინა**

ბოლონია: ***ტრავმ***-არავინ; ***დისკვ***-დანიელე კასტალდელო

ფიორენტინა: ***ტრავმ***-მილან ბადელი; ***დისკვ***-ტინო კოსტა, ფაკუნდო რონკალია

**ჯენოა-ლაციო**

ჯენოა: ***ტრავმ***-არავინ

ლაციო: ***ტრავმ***-შტეფან რადუ, მილან ბიშევაჩი, ფილიპ ჯორჯევიჩი, ლუკას ბილია, რიკარდო კიშნა, სტეფან დე ვრეი; ***დისკვ***-სერგეი მილინკოვიჩ-სავიჩი, დანილო კატალდი, ალესანდრო მატრი

**ვერონა-ინტერი**

ვერონა: ***ტრავმ***-ფედერიკო ვივიანო, სამუელ სუპრაიენი

ინტერი: ***ტრავმ***-არავინ

**მილანი-უდინეზე**

მილანი: ***ტრავმ***-ლუის ადრიანო, ფილიპ მექსეში, როდრიგო ელი, დიეგო ლოპესი

უდინეზე: ***ტრავმ***-მაურისიო დომიცი, ჯოვანი პასკუალე, ალექსანდერ მერკელი; ***დისკვ***-დანილო, მოლა ვოგი

**ტორინო-კიევო**

ტორინო: ***ტრავმ***-არავინ

კიევო: ***ტრავმ***-ალესანდრო გამბერინი, სიმონე პეპე, რიკარდო მეჯიორინი, პერპარიმ ჰეტემაი, ფედერიკო მატიელო

**ნაპოლი-კარპი**

ნაპოლი: ***ტრავმ***-არავინ; ***დისკვ***-ალანი, ელსეიდ ჰისაი

კარპი: ***ტრავმ***-იგორ ბუბნიჩი, მატეო ფედელე

**ფროზინონე-იუვენტუსი**

ფროზინონე: ***ტრავმ***-ოლივერ კრაგი

იუვენტუსი: ***ტრავმ***-კვადვო ასამოა, ჯორჯო კიელინი, სამი ხედირა, მარიო მანჯუკიჩი, მარიო ლემინა

**სასუოლო-პალერმო**

სასუოლო: ***ტრავმ***-კარიმ ლარიბი, სიმონე მისიროლი, ემანუელე ტერანოვა

პალერმო: ***ტრავმ***-არავინ

**ატალანტა-ემპოლი**

ატალანტა: ***ტრავმ***-რაფაელ ტოლოი, ჯანპაოლო ბელინი, ბაგრიელ პალეტა, კარლოს კარმონა

ემპოლი: ***ტრავმ***-ანდრეა კოსტა, მარკო ლივაია; ***დისკვ***-მარსელ ბუჩელი

**რომა-სამპდორია**

რომა: ***ტრავმ***-ედინ ჯეკო, ლუკას დინიე, ვასილის ტოროსიდისი, ალესანდრო ფლორენცი, იაგო ფალკუე, კევინ სტროოტმანი; ***დისკვ***-კოსტას მანოლასი

სამპდორია: ***ტრავმ***-ლორენცო დი სილვესტრი; ***დისკვ***-ფერნანდო, მატიას სილვესტრი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 23 | 16 | 5 | 2 | 52-19 | 53 |
| 2.იუვენტუსი | 23 | 16 | 3 | 4 | 43-15 | 51 |
| 3.ფიორენტინა | 23 | 14 | 3 | 6 | 41-22 | 45 |
| 4.ინტერი | 23 | 13 | 5 | 5 | 27-17 | 44 |
| 5.რომა | 23 | 11 | 8 | 4 | 42-25 | 41 |
| 6.მილანი | 23 | 11 | 6 | 6 | 34-25 | 39 |
| 7.სასუოლო | 23 | 8 | 9 | 6 | 26-26 | 33 |
| 8.ემპოლი | 23 | 9 | 6 | 8 | 29-32 | 33 |
| 9.ლაციო | 23 | 9 | 5 | 9 | 29-32 | 32 |
| 10.ბოლონია | 23 | 9 | 2 | 12 | 27-30 | 29 |
| 11.ტორინო | 23 | 7 | 7 | 9 | 29-30 | 28 |
| 12.კიევო | 23 | 7 | 6 | 10 | 27-31 | 27 |
| 13.ატალანტა | 23 | 7 | 6 | 10 | 23-27 | 27 |
| 14.უდინეზე | 23 | 7 | 5 | 11 | 20-36 | 26 |
| 15.პალერმო | 23 | 7 | 4 | 12 | 24-37 | 25 |
| 16.ჯენოა | 23 | 6 | 6 | 11 | 24-28 | 24 |
| 17.სამპდორია | 23 | 6 | 6 | 11 | 35-41 | 24 |
| 18.კარპი | 23 | 4 | 7 | 12 | 22-39 | 19 |
| 19.ფროზინონე | 23 | 5 | 4 | 14 | 24-48 | 19 |
| 20.ვერონა | 23 | 1 | 11 | 11 | 16-34 | 14 |

### საფრანგეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 06.02 მონაკო-ნიცა | 1.8 | 3.4 | 4.75 |
| 06.02 ანჟე-ლიონი | 3.4 | 3.1 | 2.25 |
| 06.02 ბასტია-ტრუა | 1.85 | 3.4 | 4.4 |
| 06.02 ლორიანი-მონპელიე | 2.3 | 3.2 | 3.2 |
| 06.02 კაენი-რეიმსი | 2.1 | 3.25 | 3.6 |
| 06.02 ტულუზა-ნანტი | 2.25 | 3.1 | 3.4 |
| 06.02 გაზელეკი-გენგამი | 2.6 | 3.0 | 2.9 |
| 07.02 ლილი-რენი | 2.0 | 3.1 | 4.2 |
| 07.02 ბორდო-სტ.ეტიენი | 2.45 | 3.0 | 3.1 |
| 07.02 მარსელი-პსჟ | 5.0 | 3.6 | 1.73 |

**მონაკო-ნიცა**

მონაკო: ***ტრავმ***-ადამა ტრაორე, კილიან მბაპე-ლოტინი, ფარეს ბალული, ტომას ლემარი, ლასინა ტრაორე, ჯერემი ტულანანი, ივან კავალიერო, უვა ეჩიეჯილე, ალმანი ტურე

ნიცა: ***ტრავმ***-მაჰამანე ტრაორე, მიკაელ ლე ბიანი, ალასანე პლეა, სიმონ პუპლინი

**ანჟე-ლიონი**

ანჟე: ***ტრავმ***-იოან ეუდელინი, ფერებორე დორე

ლიონი: ***ტრავმ***-ბაქარი კონე, ნაბილ ფეკირი

**ბასტია-ტრუა**

ბასტია: ***ტრავმ***-ფლორიან მარანგე, ალექსანდერ ჯიკუ, ჯულიენ რომანი

ტრუა: ***ტრავმ***-იოან მარსიალი, მორი კონე

**ლორიანი-მონპელიე**

ლორიანი: ***ტრავმ***-მარვინ ჯაპკა, მორიკე ფოფანა, ვესლი ლაუტოა

მონპელიე: ***ტრავმ***-მორგან სანსონი, იორის მავრო, პოლ-ბასტიელ ლასნე

**კაენი-რეიმსი**

კაენი: ***ტრავმ***-ჯონათან დელაპლასე, ერვე ბაზილე, დამიენ და სილვა

რეიმსი: ***ტრავმ***-ანტუან ვებერი, ფრედერიკ ბულო, უგო როდრიგესი, გრეიონ კიიე, ანტუან კონტე

**ტულუზა-ნანტი**

ტულუზა: ***ტრავმ***-სტივენ იაგო, ჟან-არმელ კანა-ბიიკი, პავლე ნინკოვი

ნანტი: ***ტრავმ***-კოფი ჯიჯი, ალექსის ელანდი, ვალენტინ რონიე

**გაზელეკი-გენგამი**

გაზელეკი: ***ტრავმ***-გრეგუარ პუიოლი

გენგამი: ***ტრავმ***-მუსტაფა დიალო, ნილ დე პოუვი, მამადუ სამასა, მაქსინ ბაკა

**ლილი-რენი**

ლილი: ***ტრავმ***-მიკ მაინანი, მარკო ბაშა

რენი: ***ტრავმ***-იოან გურკუფი, პედრო ენრიკე, პედრო მენდესი, ლუდოვიკ ბაალი

**ბორდო-სტ.ეტიენი**

ბორდო: ***ტრავმ***-სედრიკ კარასო, ლამინე სანე, ნიკოლას მორისი, ჟუსიე, ნიკოლას პალოისი, ისააკ კიესე, მილან გაიჩი, პაბლო, გრეგუარ სერტიჩი

სტ.ეტიენი: ***ტრავმ***-ლოიკ პერინი, რომან ჰამუმა, ბენუა ასოუ-ეკოტო, ფრანსუა კლერკი, ისმაილ დიომანდე, რობერტ ბერიჩი

**მარსელი-პსჟ**

მარსელი: ***ტრავმ***-ლასანა დიარა, ლუკას ოკამპოსი, ბენჯამინ მენდი, რომან ალესანდრინი, აბუ დიაბი

პსჟ: ***ტრავმ***-გრეგუარ ვან დერ ვილი, დავიდ ლუიზი, ეზეკიელ ლავეცი, ლაივინ კურზავა, სალვატორე სირიგუ, ხავიერ პასტორე, ტიაგო სილვა

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 24 | 21 | 3 | 0 | 61-11 | 66 |
| 2.მონაკო | 24 | 11 | 9 | 4 | 35-28 | 42 |
| 3.ნიცა | 24 | 11 | 6 | 7 | 38-28 | 39 |
| 4.ანჟე | 24 | 10 | 7 | 7 | 25-20 | 37 |
| 5.სტ.ეტიენი | 24 | 11 | 3 | 10 | 26-27 | 36 |
| 6.კაენი | 24 | 11 | 3 | 10 | 26-29 | 36 |
| 7.ნანტი | 24 | 9 | 8 | 7 | 24-23 | 35 |
| 8.მარსელი | 24 | 8 | 10 | 6 | 34-24 | 34 |
| 9.რენი | 24 | 8 | 10 | 6 | 32-30 | 34 |
| 10.ლიონი | 24 | 9 | 6 | 9 | 31-27 | 33 |
| 11.ბორდო | 24 | 8 | 9 | 7 | 31-33 | 33 |
| 12.ლორიანი | 24 | 7 | 9 | 8 | 33-35 | 30 |
| 13.გენგამი | 24 | 8 | 6 | 10 | 26-30 | 30 |
| 14.ლილი | 24 | 6 | 11 | 7 | 19-19 | 29 |
| 15.ბასტია | 24 | 8 | 4 | 12 | 22-29 | 28 |
| 16.რეიმსი | 24 | 6 | 8 | 10 | 25-33 | 26 |
| 17.გაზელეკი | 24 | 6 | 8 | 10 | 25-34 | 26 |
| 18.მონპელიე | 24 | 7 | 4 | 13 | 27-30 | 25 |
| 19.ტულუზა | 24 | 4 | 8 | 12 | 25-42 | 20 |
| 20.ტრუა | 24 | 1 | 8 | 15 | 16-49 | 11 |

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# TV პროგრამა

## ორშაბათი 8 თებერვალი

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00 01.00 "მოამბე" 07.05, 09.10 "დილა" 10.10 "პირადი ექიმი" 10.50, 23.00 ტ/სერ. "**დაუნტონის სააბატო**" 12.30 "ფერმა" 13.00 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 14.05 "მუსიკოლოგისი" 14.30 ან/ფ "მხიარული ფერმა" 15.00 დ/ფ "ჯეიმი ოლივერის დიდი ბრიტანეთი" 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 ტ/სერ. "**ქასლი**" 19.00 "ტელებლოგი" 19.30 "სიტყვების თამაში" 20.30 "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" 21.00 თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" 22.00 "სპორტი გიორგი ზურაბიშვილთან ერთად" 00.00 "კომუნიკატორი" 01.10 მხ/ფ "**იცეკვე მასთან**"

08.00 დ/ფ "ეფლი" 09.00 მხ/ფ "**ეს საშინელი სიღარიბე**" 10.45 დ/ფ "ვიეტნამი" 11.10 ქართ. მხ/ფ "**ხევისბერი გოჩა**" 12.35 დ/ფ "საბერძნეთი – ათენი" 13.00 დ/ფ "ჟოზეფ მალორ უილიამ ტერნერი" 14.00 "ეპიცენტრი" 15.00, 18.00, 21.00, 22.30, 23.30 "ბრიფინგის დრო" 16.00 ტ/სერ. "**ნიკიტა**" 17.00 "პოლიტალტერნატივა" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" (5 ენაზე) 23.00 "ნამდვილი დრო"

06.30, 14.40 სერ. "**ორი ბედი**" 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.40 ქრონიკა 07.35, 08.10, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. "**ოსი წუთი**" 11.20 სერ. "**დახურული სკოლა**" 1 სერ. 12.30 დღის შოუ 16.00 სერ. "**თანხმობა**" 8 სერ. 17.35, 19.03 სერ. "**პატარძალი**" 20.55 სერ. "**ნამსხვრევები**" 22.00 იუმორინა 00.00 მხ/ფ "**ფედერალური დაცვა**" (ა.ასანტე) 01.50 მხ/ფ "**შიშის საფასური**" 04.50 მხ/ფ "**მეომრის გზა**"

06.30 სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "**დინასტია**" 12.30, 14.05 "შუა დღე" 15.55 სერ. "**ქარადაი – ახალგაზრდობა**" 16.55 სერ. "**ინდური საგა**" 18.45 სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" 19.45, 20.05 სერ. "**ალიქმა**" 22.00 ქ.მხ/ფ. "**პოკერი სიყვარულის წესებით**" 23.30, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი

